# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 31 ოქტომბერი. 2019 წ. №216 (8882) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## ბაქო–თბილისი–ყარსი: რისთვის ლობირებს ანკარა მოსკოვს? 4




## დუმილი სიბრძნის ნიშანია 9

სომეხთა გენოციდის აღიარების შემდეგ, თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის საკითხიც შეიძლება, დადგეს დღის წესრიგში...



## სტრატეგიულ პარტნიორთა შეხვედრა

**საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი მიმართულებები და ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების ფართო სპექტრი განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ჯორჯ კენტმა შეხვედრაზე, რომელიც გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.**

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, ყურადღება გამახვილდა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებულ ორპარტიულ მხარდამჭერ აქტზე, რომელიც პრემიერმა საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების უმაღლესი დონის კიდევ ერთ დადასტურებად შეაფასა.

**შეხვედრას აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ელიზაბეთ რუდი, აშშ-ის საელჩოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განყოფილების უფროსი ლიზ ზენტოსი, ხოლო საქართველოს მხრიდან მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ნათია მეზვრიშვილი და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ირაკლი ჩიქოვანი დაესწრნენ.**

## ციხე-სოფელი მუცო „საზოგადოების რჩეულია“... 7

მსოფლიო მონუმენტთა ფონდი და თუშეთის ეროვნული პარკი

## თემურლენგი და ბიძინა წყალტუბოში 5




## „მაგთის ციფრული ოთახი“ მოსწავლეთათვის 6

## ჟურნალისტების მკვლელობისთვის დაუსჯელობა ბევრ ქვეყანაში ნორმაა

**ჟურნალისტების მკვლელობის დაუსჯელობა, ჯერ კიდევ ბევრ ქვეყანაში ნორმას წარმოადგენს,** — წერია „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის“ უახლეს კვლევაში. მკვლელობები ხშირადაა დაკავშირებული კრიმინალის, კონფლიქტისა და კორუფციის გაშუქებასთან. გასული ათი წლის განმავლობაში, მსოფლიოს მასშტაბით 318 ჟურნალისტი მოკლეს საკუთარი საქმიანობის გამო. აქედან, 243 შემთხვევაში მოძალადე დაუსჯელი დარჩა.

**„დაუსჯელობის შემთხვევები სავარაუდო მკვლელებს აგულიანებთ, რომ ისინი დანაშაულს თავს აარიდებენ“, ამბობს ელანა ბეისერი, „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტების“ სარედაქციო დირექტორი. „ეს ასევე, გზავნილია ჟურნალისტებისთვისაც და შესაძლოა, იქამდე მიგვიყვანოს, რომ მათ თვითცენზურა დაიწყონ უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე. საბოლოოდ, ეს საზოგადოებას სიბნელეში დატოვებს“,** — დაამატა ბეისერმა.

ჟურნალისტების მკვლელობისთვის, მოძალადეების დაუსჯელობის სიაში 13 ქვეყანა მოხვდა. უკვე მეხუთე წელია, სიის სათავეში სომალია. ქვეყანას, რომელიც ალ-შაბააბის ტერორისტებს ებრძვის, ჟურნალისტების მკვლელობის 25 გამოუძიებელი შემთხვევა აქვს. სომალი ამ სიაში მისი შექმნის პერიოდიდან, ანუ 2008 წლიდან მუდმივად ხვდება. სირია, ერაყი, სამხრეთ სუდანი და ფილიპინები წამყვანი 5 ქვეყანაა, სადაც ჟურნალისტების მკვლელობა გამოუძიებელი და დაუსჯელი რჩება.




**„უმეტეს შემთხვევაში, გამოძიებები უბრალოდ ქრება“, ამბობს ბეისერი. „კორუფცია, სუსტი ინსტიტუციები და პოლიტიკური ნების ნაკლებობა არის ის ფაქტორები, რაც ამ დაუსჯელობის სინდრომს განსაზღვრავს“.**

მექსიკა, ასევე, განსაკუთრებით საშიშია ჟურნალისტებისთვის. მიმდინარე წელს იქ 5 ჟურნალისტი მოკლეს. როგორც „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი“ ამბობს, გამოუძიებელი საქმეების რიცხვი მექსიკაში ყოველ წელს იზრდება და წელს სიაში მე-7 ადგილი უჭირავს. ორგანიზაცია ასევე წუხილს გამოხატავს იმის გამო, რომ რეგიონები, რომელიც აქამდე უსაფრთხო იყო ჟურნალისტებისთვის, ნელ-ნელა კარგავს ამ სტატუსს. მაგალითისთვის კი მოჰყავს 2017 წელს, მალტაში მანქანის აფეთქება, რომლის შედეგადაც ბლოგერი გარდაიცვალა. ასევე, 2018 წელს სლოვაკი ჟურნალისტის მკვლელობა. დღემდე, არავინაა დაკავებული ამ მკვლელობების გამო.

მონაცემები არ ეხება ომში, ან საშიში დავალებების შესრულების დროს დაღუპულ ჟურნალისტებს.

# გიორგი გახარია: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური დაამტკიცებს, რომ...




**პირველი ნოემბრიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ყველას დაუმტკიცებს, რამდენად არ ეშინია მართლმსაჯულების სისტემას, წარმოაჩინოს რეფორმები და ცვლილებები, რომლებიც დღეს ხდება პოლიციასა და პროკურატურაში, ყველა იმ უწყებაში, რომელიც იქნება ამ ორგანოს ძირითადი პარტნიორი,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო მიმართულების პრეზენტაციაზე განაცხადა.

პრემიერმა მეგობარი ქვეყნების ელჩებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების მყარი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველოს რეფორმირების დიდი გზა ჯერ კიდევ გასავლელი აქვს.

**„დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი და სახელმწიფო ინსპექტორი ეს იყო ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ამ დემოკრატიული რეფორმირების, რომელზეც ჩვენ ყველა შევთანხმდით და გარკვეული ძალისხმევის შემდგომ გადავდგით ეს ნაბიჯი“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ. მისივე თქმით, ინსპექტორის სამსახური დღეს აღჭურვილია საგამოძიებო ფუნქციებით.

**„საქართველოს სამართალდამცავი სისტემისთვის გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენდა სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება, თუმცა ვფიქრობთ და დარწმუნებული ვართ, რომ პირველი ნოემბრიდან, როდესაც ეს მექანიზმი ამოქმედდება, ეს იქნება კიდევ ერთი ძლიერი ნაბიჯი სამართალდამცავი სისტემის მიმართ ნდობის გაძლიერების თვალსაზრისით და კიდევ ერთი ძლიერი ნაბიჯი ქვეყნის დემოკრატიზაციის მიმართულებით. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელდა.**

**მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო საერთაშორისო პარტნიორებს მხარდაჭერისთვის და ასევე, წარმატება ვუსურვო ამ ახალი სამსახურის ახალ თანამშრომლებს, რომელთაც მართლაც დიდი მისია აკისრიათ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ის საგამოძიებო ფუნქცია, რომლითაც აღჭურვილია ახალი სამსახური, იქნება დიდი არგუმენტი უახლოესი წლების განმავლობაში სამართალდამცავი სისტემის მიმართ მოქალაქეების ნდობის გაძლიერების თვალსაზრისით. დარწმუნებული ვარ, პირველი ნოემბრიდან ეს სამსახური ყველას დაუმტკიცებს, რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესი და რამდენად არ ეშინია მართლმსაჯულების სისტემას, სამართალდამცავ ორგანოებს პირდაპირ, ღიად და წარმოაჩინონ ის რეფორმები და ცვლილებები, რომელიც დღეს ხდება პოლიციაში, პროკურატურაში, ყველა იმ უწყებაში, რომელიც იქნება ამ ორგანოს ძირითადი პარტნიორი“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

# ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი სანიმუშო გახდება!..



**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი დაათვალიერა. მინისტრი ადგილზე გაეცნო აეროპორტის ახალი ტერმინალის სამშენებლო სამუშაოებს და მოქმედ ტერმინალებში არსებულ ვითარებას. ნათია თურნავასთან ერთად აეროპორტში იმყოფებოდა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძეც.**

ნათია თურნავას განცხადებით, ქვეყანაში არსებული აეროპორტების ინფრასტრუქტურა მაღალი სტანდარტების შესატყვისი და უცხოელი ტურისტებისთვის ქვეყნის სახე უნდა იყოს.

**„ჩვენ ვმასპინძლობთ მილიონობით ტურისტს, გავზარდეთ ავიაკომპანიების რიცხვი და პირდაპირი ფრენები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებამდე, მაგრამ ამის საპირწონედ ჩვენი აეროპორტების ინფრასტრუქტურა უნდა იყოს მაღალი სტანდარტის შესატყვისი და კომფორტული როგორც ტურისტებისთვის, ასევე ჩვენი თანამოქალაქეებისთვის“,** — აღნიშნა ნათია თურნავამ.

მისი თქმით, სწორედ ამიტომ დაიწყო პროცესი, რომელიც გულისხმობს საქართველოში მოქმედი საერთაშორისო აეროპორტების მოწესრიგებას. როგორც ნათია თურნავამ აღნიშნა, ცოტა ხნის წინათ ასევე იმყოფებოდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, სადაც გარკვეული ხარვეზებია გამოსასწორებელი, რაც მკაცრად გაკონტროლდება.

**„ჩვენ თვითკრიტიკულებიც უნდა ვიყოთ და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის, უნდა იყოს სანიმუშო. დღეს დავათვალიერე აქაურობა, შენდება ახალი ტერმინალი, რომელიც გაისად შევა მწყობრში და ძალიან ბევრი საკითხი მოწესრიგდება. შესაბამისად, აქედან მგზავრობა გახდება უფრო კომფორტული და მიმზიდველი“,** — აღნიშნა ნათია თურნავამ.

# მალე თბილისს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას და მისი უახლოესი თანამებრძოლის გურამ გაბისკირიას ბიუსტი დაამშვენებს




## თბილისის მთავრობის სხდომის ფრაგმენტები

**ტრადიციისამებრ, მთავრობის სხდომით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა. პირველ რიგში, დედაქალაქის მერმა თქვა, რომ დიდ დიღომში, ანბანის სკვერში მცირე სავაჭრო ცენტრი აღარ აშენდება. მისივე თქმით, სავაჭრო ცენტრ „გუდვილის“ მიმდებარედ არსებული ანბანის სკვერის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, რის შედეგადაც, აღნიშნული ტერიტორიის გამოსყიდვა შესაძლებელი გახდა.**

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე გამოგვაქვს ამ მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა-გამოსყიდვის საკითხი, რათა ეს პროექტი ამ კონკრეტულ სკვერში არ განხორციელდეს. ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც პრობლემაა და ქალაქის ურბანული განვითარების თვალსაზრისითაც დაუშვებელია მწვანე სკვერებსა და სივრცეებში ასეთი სამუშაოების წარმოება. აღნიშნული სკვერი მოეწყობა და გალამაზდება. ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა, მივიდნენ და იქ დაისვენონ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა აღნიშნა, რომ პარკირების წესის დარღვევაზე ჯარიმა 10 ლარიდან 50 ლარამდე იზრდება. მისი თქმით, პარკირების წესის დარღვევაზე ჯარიმის გაზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ქალაქში სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებაა.

**„რამდენიმე ხნის წინ, ჩვენი თხოვნით, საქართველოს პარლამენტმა განიხილა ინიციატივა პარკირების წესების დარღვევაზე სამართალდარღვევის ჯარიმის ზრდასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, რომ პარკირების წესების დარღვევაზე ჯარიმა შეადგენდა 10 ლარს. ჩვენ პარლამენტს დასამუშავებლად კანონპროექტი წარვუდგინეთ. მივმართეთ, რომ მათი მხრიდან ყოფილიყო მხარდაჭერა და ჯარიმის ოდენობა გაგვეზარდა. გუშინ უკვე მესამე მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტმა და ჯარიმა 50 ლარამდე იზრდება. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი იყო, რა თქმა უნდა, სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგება, აგრეთვე ის გარემოება, რომ ქალაქში უკვე მოქმედებს ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა“,** — განაცხადა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ მოსახლეობას მოუწოდა, რომ პარკირების წესებს სიფრთხილით მოეკიდონ, რათა არ დაჯარიმდნენ. ამასთან, კახა კალაძემ კიდევ ერთხელ განმარტა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის წესი და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში მსგავსი პროექტი დედაქალაქის სხვა უბნებშიც განხორციელდება. კახა კალაძემ ასევე აღნიშნა, რომ ფერის სტანდარტის დარღვევისა და ნებართვის არქონის გამო, პირველ ოქტომბერს დაჯარიმებული ტაქსის მძღოლები ჯარიმის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლდებიან.

პირველი ნოემბრიდან A კატეგორიის ტაქსის მძღოლებს შესაძლებლობა ექნებათ, ავტომანქანის სალონების ქიმიური წმენდის უფასო ვაუჩერით ისარგებლონ და სერვისის მისაღებად კონკრეტულ კომპანიებს მიმართონ. კახა კალაძის თქმით, ტაქსის მფლობელები სერვისს შემდეგ მისამართებზე მიიღებენ: „ავტო სპა“, ბერი სალოსის გამზირის №31-ში, „დირსის“ კორპუსების მიმდებარედ და „ავტო შხაპი“, შეშელიძის №68-ში. მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა გარემოს დაცვის სამსახურის უფროსს გიგა გიგაშვილს დაავალა, მოსკოვის გამზირზე არსებულ ოთხ ჰექტარ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის საკითხზე მუშაობა დაიწყოს.

**„არაერთხელ მითქვამს, რომ ქალაქში მწვანე სივრცეების არსებობა ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია. ყველა ხედავს, თუ რამდენად დიდი ყურადღება ეთმობა იმას, რომ არსებული პარკებისა და სკვერების რეაბილიტაცია განვახორციელოთ და ახალი საქალაქო პარკების მშენებლობა მოხდეს. ყველაზე მეტად რაც სჭირდება ჩვენს ქალაქს და რაც ალამაზებს, მწვანე სივრცეების შექმნა და არსებულების მოწესრიგებაა. მოსკოვის გამზირზე არსებობს ალეა, საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელიც დაახლოებით, ოთხი ჰექტარია. მინდა დავავალო გიგა გიგაშვილს, დაიწყოს პროექტის მომზადება, რომ მომავალი წლიდან შევძლოთ, აღნიშნული ალეის გაკეთილშობილება, რადგან დღეს იქ არსებული მდგომარეობა ძალიან მძიმეა. დარწმუნებული ვარ, აღნიშნული ტერიტორიით ძალიან ბევრი ადამიანი ისარგებლებს“,** — განაცხადა კახა კალაძემ. საზოგადო მოღვაწისა და ჩვენი ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ბიუსტი, სენაკისა და რუსთავის შემდეგ, თბილისშიც განთავსდება. თბილისის მერმა ბიუსტის კონცეფციის შემუშავებისა და ადგილის შერჩევის საკითხებზე მუშაობა მერის მოადგილეს სოფიო ხუნწარიას დაავალა.

**„მინდა, ძალიან მნიშვნელოვან და სენსიტიურ თემას შევეხო. 2019 წლის 7 მარტს გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდებოდა. დღესდღეობით, მისი ბიუსტები განთავსებულია ქალაქ რუსთავსა და სენაკში, თუმცა არა — თბილისში. ჟიული შარტავა იმსახურებს იმას, რომ მისი ბიუსტი არსებობდეს დედაქალაქშიც. ჟიული შარტავასთან ერთად, მე ვიტყოდი, გურამ გაბისკირიას ძეგლიც. ჩვენ ყველას გვახსოვს წუთები, როდესაც სოხუმი დაეცა და ეს ადამიანები, ფაქტობრივად, ბოლო გამოვიდნენ მთავრობის სახლიდან. ყველას გვახსოვს ის სიტყვები, როდესაც მათ ეუბნებოდნენ, დაიჩოქეთ და შეაგინეთ ქართველებსო. მათი პასუხი იყო — „არასოდეს ცხოვრებაში!“ ეს ადამიანები ჩვენგან ნამდვილად იმსახურებენ დაფასებას. ჩვენმა მომავალმა თაობებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ ჩვენი გმირების შესახებ. ჩემი თხოვნა იქნება, ეს ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც ამ ადამიანებს ეკადრებათ“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

# ამერიკის პირველი ელჩი ქალი მალე ჩამოვა!



## კელი დეგნანი: გავაგრძელებთ საქართველოს მტკიცე მხარდაჭერას ნატოში

**ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა სამშაბათს მოუსმინა ამერიკის მომავალ ელჩს საქართველოში კელი დეგნანს. შესავალი სიტყვის შემდეგ, სენატორებმა კანდიდატს შეკითხვები დაუსვეს. მათი უმეტესობა რუსეთის საკითხსა და საქართველოს ნატოში ინტეგრაციას ეხებოდა.**

თავად კელი დეგნანმა სენატის მიმართ გაკეთებულ მოხსენებაში ყურადღება რამდენიმე საკითხზე გაამახვილა: ოკუპაცია და რუსეთის აგრესია; საქართველოს სუვერენიტეტის მხარდაჭერა; 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება თავისუფალ და დემოკრატიულ პირობებში; ასევე, საქართველოში თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლოსა და მედიის განვითარება და ხელშეწყობა.

**„პროგრესი, რომელსაც საქართველომ მიაღწია, არ ყოფილა მარტივი და ხშირ შემთხვევაში, ეს ამერიკის ჩართულობით და უცხოეთის ქვეყნების დახმარებით ხდებოდა. საქართველომ ეს ინვესტიციები კონკრეტული ქმედებებით გადაიხადა, როგორიცაა მაგალითად — საპარლამენტო ზედამხედველობის გაღრმავება და მნიშვნელოვანი სასამართლო რეფორმების დანერგვა. თუმცა, მიღწეულის შენარჩუნების და მასზე დაფუძნებით მშენებლობის საქმეში, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. განსაკურებით — პლურალური საკანონმდებლო ორგანოს, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის, მრავალფეროვანი მედიისა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობის კუთხით,“** — თქვა დეგნანმა სიტყვით გამოსვლაში.

მომავალი ელჩი ასევე შეეხო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების თემას და განაცხადა, რომ ის მზადაა, ითანამშრომლოს ყველასთან, რათა საქართველომ უზრუნველყოს დემოკრატიული არჩევნები: **„(ელჩად) დამტკიცების შემთხვევაში, მე ვიმუშავებ ყველა მხარესთან, რათა მომავალ წელს, უზრუნველყოფილ იყოს არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარება“.**

ერთ-ერთი მთავარი თემა კელი დეგნანის სიტყვით გამოსვლაში ნატო, ევროკავშირი და საქართველოს დასავლური ღირებულებები იყო: **„ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს მტკიცე მხარდაჭერას ნატოში გაწევრიანებისა და ევროკავშირთან და დასავლეთთან ეკონომიკური ინტეგრაციის გზაზე. ჩვენი თანამშრომლობის მიზანია, გავზარდოთ საქართველოს უნარი, დაიცვას საკუთარი საზღვრები მდიდარი, ინტეგრირებული დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში,“** — განაცხადა ელჩობის კანდიდატმა. დეგნანის თქმით, შეერთებული შტატები ადრეც საქართველოს გვერდში იდგა და ახლაც გააგრძელებს მის დახმარებას. თუმცა, საქართველო თავად უნდა იყოს მზად და დააკმაყოფილოს „მაღალი პოლიტიკური და სამხედრო სტანდარტების მოთხოვნა“.

კიდევ ერთი თემა, რაზეც ელჩობის კანდიდატმა ყურადღება გაამახვილა, ოკუპაცია და რუსეთის საკითხი იყო. მისი თქმით, ის რაც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხდება, შემაშფოთებელია. დეგნანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ აუცილებელია, რუსეთმა შეასრულოს 2008 წელს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული შეთანხმება.

კელი დეგნანის განცხადებით, აუცილებელია დიალოგი და ყველა შესაძლო ფორმატის, მათ შორის ჟენევის ფორმატის გამოყენებაც. **„რუსული აგრესიით შექმნილი კონფლიქტიდან გამოსავალი ის იქნება, თუ რუსეთი შეასრულებს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. მათ შორის - ჯარების უკან გაყვანას კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე, იქ ჰუმანიტარული დახმარების დაშვებას და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან წაღებას“,** — თქვა მომავალმა ელჩმა საქართველოში.

სიტყვის ბოლოს, დეგნანმა განაცხადა: **„დამტკიცების შემთხვევაში, პირობას ვდებ, ვუერთგულებ ჩვენს ძალისხმევას, დავეხმაროთ საქართველოს მთავრობას და ქართველ ხალხს ისეთი გამძლე საზოგადოების მშენებლობაში, რომელიც აფასებს საკუთარ მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობას, და რომელიც შეძლებს, წინ აღუდგეს რუსეთის დამაზიანებელ ზეწოლას და ჩინეთის მზარდ გავლენას“.**

კელი დეგნანი 26-წლიანი გამოცდილების მქონე დიპლომატია. საქართველოში ელჩად წარდგენის დროს, ის იკავებდა ევროპისა და აფრიკის ტერიტორიაზე აშშ-ის საზღვაო ძალების სარდლის პოლიტიკური მრჩევლის როლს. მას გამოცდილება აქვს როგორც დიპლომატიურ, ისე თავდაცვის სფეროში მუშაობის. თურქეთში და ნატოში მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, რეგიონსაც კარგად იცნობს.

**მოსმენის დასრულების შემდეგ, ახლა ჯერი სენატორებზე და მათ გადაწყვეტილებაზეა. თუ კანონმდებლები კელი დეგნანის კანდიდატურას დაამტკიცებენ, მაშინ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი ტრამპი ხელს მოაწერს და საქართველოს ეყოლება ამერიკის პირველი ქალი ელჩი.**

**მარიამ უგრეხელიძე**




# ამბროლაურის მერს აზარტული თამაშების გათამაშებაში „პორშეს“ მოგებას „უსამძიმრებენ“!..

**ამბროლაურის მერმა დავით მხეიძემ ერთ-ერთი ტოტალიზატორის სატელევიზიო გათამაშებაში 2019 წლის „პორშე“ მოიგო. როგორც მერმა გადაცემის წამყვანებს უთხრა, მას გათამაშების 48 ბილეთი ჰქონდა.**

დამოუკიდებელმა დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა დავით მხეიძეს პლენარულ სხდომაზე აზარტული თამაშების გათამაშებაში „პორშეს“ მოგება „მიულოცა“ და დასძინა, რომ ეს სამარცხვინოა.

**„ეს არის სამარცხვინო, სირცხვილია! მივიტანოთ იერიში სიკვდილის ინდუსტრიაზე, კოლეგებო. სანამ ეს სივრცე, სანამ ეს სიკვდილის ინდუსტრია არსებობს, ასეთი სამარცხვინო რაღაცები მოხდება ჩვენს ქვეყანაში“,** — განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა. დეპუტატმა პარლამენტის წევრებს აზარტული თამაშების წინააღდეგ ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა. მესამე სექტორის განცხადებით, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულთა რიცხვი იზრდება. მესამე სექტორში სტატისტიკას საგანგაშოს უწოდებენ და განმარტავენ, რომ ბოლო ოთხი თვის განმავლობაში, 16 ადამიანისთვის ლუდომანია, ანუ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, სუიციდის მიზეზი გახდა.

# საქართველოს პირველი არხი უარს აცხადებს აზარტული თამაშების რეკლამის განთავსებაზე

**საქართველოს პირველი არხი, როგორც პასუხისმგებლიანი მედია, უარს აცხადებს აზარტული თამაშების რეკლამის ეთერში განთავსებაზე. პირველი არხი ამ ეტაპზე შეასრულებს მიმდინარე ვალდებულებებს და 2020 წლის პირველი იანვრიდან საკუთარი ეთერით აღარ განახორციელებს აზარტული თამაშების რეკლამირებას.**

მიუხედავად იმისა, რომ აზარტული თამაშები და ამ ტიპის რეკლამის გაყიდვა საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის და საზოგადოებრივი მაუწყებელი არ არღვევს კანონით დადგენილ ნორმებს, საკუთარი მისიიდან გამომდინარე, საქართველოს პირველი არხის უპირველესი მიზანია, უპასუხოს საზოგადოების მოთხოვნებს, ხელი შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეებრძოლოს ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მძიმე სენის სახით გავრცელებულ აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულებას და მავნე ჩვევას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირველი არხი ამ გადაწყვეტილებით უარს ამბობს იმ შემოსავალზე, რომელიც სრულად ხმარდება სპორტული ტრანსლაციების ლიცენზიების შეძენას, მათ მომსახურებასა და ტექნიკურ უზრუნველყოფას.

ვთვლით, რომ აზარტული თამაშების უარყოფით გავლენასთან დაკავშირებით საზოგადოების განწყობა




ერთმნიშვნელოვანია, ამიტომ საქართველოს პირველ არხი მთლიანად იზიარებს და ამ გადაწყვეტილებით სრულად ეთანხმება საზოგადოების მოთხოვნას.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს პირველი არხის მენეჯმენტის ამ გადაწყვეტილებით ხელს შევუწყობთ ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობას.



# ბათუმის მერია მუნიციპალური ინსპექციის სამსახურს ქმნის

**ბათუმის მერია ახალ სამსახურს ქმნის, სადაც ყველა საზედამხედველო ფუნქციის სამსახური გაერთიანდება და მას ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია დაერქმევა. მერიამ საკრებულოსგან თანხმობა უკვე მიიღო. ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ ეწინააღმდეგებოდა.**

ბათუმის მერიაში მიაჩნიათ, რომ ახალი სამსახური არსებულ გამოწვევებს ეფექტურად უპასუხებს. უწყების ინფორმაციით, ის გააკონტროლებს მშენებლობას, მშენებლობის უსაფრთხოებას, გარევაჭრობას, რეკლამას, პარკირებას, ტრანსპორტის მოძრაობას, დანაგვიანებას, სანიტარულ მდგომარეობას, ხმაურსა და ა.შ

ახალი უწყება ააიპ-ად ჩამოყალიბდა და იქ 160-დან 180-მდე სპეციალისტი მოიყრის თავს. მათ ტესტირების შედეგად შეარჩევენ, სამსახურის ხელმძღვანელს კი მერი დანიშნავს. ახალი უწყებისთვის თანხა 2020 წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული, თუმცა ჯერ უცნობია, რა ოდენობით.

**თურქეთი ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტში რუსეთის ჩართვის თემაზე ალაპარაკდა. „რუსეთის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, თუ მოსკოვი ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით ტვირთების გადაზიდვის გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს იქნება მომგებიანი როგორც რუსეთისთვის, ისე რეგიონის ქვეყნებისთვის. მათ შეუძლიათ, ტვირთები მიაწოდონ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს. ვფიქრობ, ეს ხაზი მნიშვნელოვანი და მომგებიანია არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ ჩინეთისთვის, პაკისტანისთვის, ავღანეთისთვის, ტაჯიკეთისთვის, ყირგიზეთისთვისაც. ეს მათთვის შესაძლებლობაა, ტვირთები დასავლეთში გაიტანონ“, — განაცხადა თურქეთის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მეჰმეთ თურხანმა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხთან საუბრისას.**

მართალია, ეს კომენტარი დეტალიზაციას არ მოიცავს, კერძოდ, არ არის განმარტებული, რუსეთის კონკრეტულად რა როლზეა საუბარი, თუმცა განცხადება ალბათ მაინც საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს.




„აქცენტი“ შეეცადა, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში გაერკვია, მიმდინარეობს თუ არა რაიმე სახის მოლაპარაკებები და რას ფიქრობს ანკარის ამ იდეაზე ოფიციალური თბილისი, თუმცა დღემდე პასუხი არ ჩანს.

# ბაქო-თბილისი-ყარსი: რისთვის ლობირებს ანკარა მოსკოვს?

საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრი, ანალიტიკოსი **ირაკლი მენაღარიშვილი** ამბობს, რომ ანალიზისთვის მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, პროექტში რუსეთის რა ფუნქციაზეა საუბარი.



**„სირიის მოვლენების ფონზე თურქეთსა და რუსეთს შორის პოლიტიკური დიალოგი გააქტიურდა და სავსებით შესაძლებელია, ამას თურქეთში რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის დამატებითი რესურსების მოძიების ინტერესი გაეზარდა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის რომელიმე განზომილებას რუსეთი „ხელს დაადებს“. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, მოხდეს, თუ პროექტის მონაწილეები ჩათვლიან, რომ მასში რუსეთის მონაწილეობა საჭიროა. ჩვენ ჯერ მხოლოდ ერთი მონაწილის (თურქეთის) მოსაზრება მოვისმინეთ. წმინდა ეკონომიკური განზომილებით, ტვირთებს ეროვნული კუთვნილება არ აქვთ: თუ ეს იქნება ეკონომიკურად მომგებიანი, არ დაარღვევს მხარეების ინტერესებს, არ იქნება აკრძალული, შეზღუდული და ა.შ., შეიძლება, გაიაროს როგორც რუსულმა, ისე ევროპულმა, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისამაც. ამ თვალსაზრისით, წესით, სირთულე არ უნდა იყოს. რუსეთთან თურქეთის თანამშრომლობა მთლიანად იქნება დამოკიდებული თურქულ-რუსულ პოლიტიკურ და სხვა ურთიერთობაზე და სანამ მათ „დათბობის“ პერიოდი აქვთ, რა თქმა უნდა, შეეცდებიან, ეს ხაზიც აქტიურად გამოიყენონ. ჩვენ ტრანზიტული ქვეყანა ვართ, ეს ტვირთები უნდა გავატაროთ და უნდა უზრუნველვყოთ, რომ გადაზიდვების დროს დაცული იყოს ყველა საერთაშორისო ნორმა და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა. ეს არის საქართველოს ადგილი ამ პროექტში“,** — აცხადებს ანალიტიკოსი.

მისი შეფასებით, სირთულე წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება პროექტში რუსეთის მონაწილეობის სურვილი: **„თუ ანკარა ან მოსკოვი გამოთქვამენ სურვილს, რუსეთი მონაწილე გახდეს პროექტისა, თუნდაც მისი ნაწილი შეიძინოს, კონტროლი დააწესოს, აქ ყურადღების გამახვილებაა საჭირო და არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ეს ხაზი რუსული კონტროლის ქვეშ აღმოჩნდეს. ამას ჩვენგან ფხიზელი დამოკიდებულება სჭირდება. თუკი ამგვარი საკითხი გაჩნდება, შესაძლებელია კონსულტაციები თურქულ მხარესთან, რას ფიქრობენ, რას აპირებენ და შემდეგ შესაბამისი რეაგირება“.**

თავდაპირველად საკითხი საქართველოში მღელვარების საფუძველი ჯერ კიდევ გაზაფხულის ბოლოს გახდა. მაშინ პროექტის სხვა მონაწილეებმა ანკარაში საქართველოს მონაწილეობის გარეშე რუსეთთან მემორანდუმი გააფორმეს.

**„მემორანდუმი ითვალისწინებს ერთობლივ ქმედებებს ბაქო-თბილისი-ყარსის მარშრუტით რეგულარული სარკინიგზო გადაზიდვების უზრუნველსაყოფად, ეკონომიკურად დასაბუთებული ტარიფების დადგენისა და ახალი ლოჯისტიკური ბაზის შექმნის ჩათვლით. ამ მიზნით მხარეები ახალქალაქი (საქართველო)-ყარსის მონაკვეთზე 1520 მმ–იანი სიგანის ლიანდაგის მქონე მეორე სარკინიგზო ხაზის გაყვანის პროექტის რეალიზების შესაძლებლობას განიხილავენ, რომლის სიგრძე 76 კმ იქნება და მოიცავს თურქეთის ტერიტორიასა და ლოჯისტიკურ ცენტრს ყარსში“,** — ვკითხულობთ მემორანდუმის გაფორმების შემდეგ „რუსეთის რკინიგზის“ მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.



სავარაუდოდ, ეს სიახლე იყო საქართველოს ხელისუფლებისთვის. ამაზე ეკონომიკის მინისტრ **ნათია თურნავას** მიერ იმხანად გაკეთებული კომენტარი მეტყველებს: **„სავარაუდოდ, ის შეხვედრა ჩვენს რეგიონში დამატებითი ტვირთების მოსაზიდად იყო ორგანიზებული, თუმცა საქართველოსთან შეუთანხმებლად პროექტში ცვლილებების შეტანის უფლება არცერთ მხარეს არ აქვს. ჩვენ განვაგრძობთ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სამმხრივი (საქართველოს, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის) შეთანხმების იმ ფორმით, რომელიც სრულად შეესაბამება ჩვენს სუვერენულ ინტერესებს“.**

მართალია, მაშინ საქართველოს იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე აცხადებდა, რომ თბილისის ნებართვის გარეშე პროექტში ცვლილებების განხორციელება როგორც პოლიტიკურად, ისე საერთაშორისო სამართლის მიხედვით და ფიზიკურადაც შეუძლებელია და მსგავსი ცვლილებები არც იგეგმება, თუმცა ამან ექსპერტებს შეშფოთების საფუძველი ვერ მოუხსნა.



„პროფესიონალ რკინიგზელთა კლუბის“ დამფუძნებელ **დავით გორჩავას** შეფასებით, ამ საკითხში საქართველოს იგნორირება მეტყველებს რუსეთისა და თურქეთის მცდელობაზე, საქართველოს ჩამოართვან მთავარი სატრანსპორტო კვანძის ფუნქცია, ანუ ის სტატუსი, რომელიც ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტითაა გათვალისწინებული: **„საქართველოს მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ახალქალაქში ხდება ვაგონების გადაყვანა საბჭოთა ტიპის ლიანდაგებიდან ევროპულზე, რაც ლოჯისტიკური ცენტრის ქონასა და, შესაბამისად, მარშრუტის საკვანძო რგოლად ახალქალაქის ქცევას გულისხმობს. რუსეთი და თურქეთი, გეგმავენ რა საბჭოთა სტილის ლიანდაგის ყარსის სადგურამდე გაგრძელებას, სრულად ართმევენ საქართველოს ამ სარგებელს. ფაქტობრივად, ისინი ცდილობენ, ქართული მონაკვეთი უბრალო დერეფნად აქციონ, რომლის გავლით ტვირთები ყარსამდე შეუჩერებლად გაივლის. ეს დაუშვებელია, რადგან საქართველომ პროექტში აზერბაიჯანისგან ნასესხები 770 მილიონი დოლარი იმ გათვლით ჩადო, რომ ეს რკინიგზა ქვეყანას პროექტში ინვესტირებული თანხის ამოღების შესაძლებლობას მისცემდა. 2017 წლის ოქტომბერში ამოქმედების შემდეგ ბაქო-თბილისი-ყარსის მარშრუტით დღემდე დაახლოებით 184 000 ტონა ტვირთი გადაიზიდა. წელიწადში 6,5 მლნ-ტონიანი პოტენციური გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, აზერბაიჯანსა და თურქეთს რუსულ პროექტში ჩართვით პროექტის კომერციული წარმატების გარანტირება სურთ. ამ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ცვლილებების შეტანა ახალქალაქის სტატუსში. იმედი მაქვს, ქართული მხარე სახელმწიფო ინტერესების დაცვას შეძლებს“.**



საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტ **გიორგი გობრონიძის** შეფასებით, საქართველო ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის დაწყების დღიდან ვერ ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მეზობლების დამოკიდებულება ამის შესაბამისია: **„ის, რომ რეგიონში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური საერთაშორისო პროექტის მონაწილე ვართ, ჩვენთვის ძალიან კარგია და, ამავდროულად, ჩვენს ქვეყანას აქვს პოზიცია, რომელიც მას ამ პროექტისთვის შეუცვლელს ხდის, რაც პროექტში ჩართულ პარტნიორებთან გარკვეულ დიპლომატიურ უპირატესობებს გვანიჭებს. თუმცა დაწყების დღიდან საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებთან მოლაპარაკებების დროს საკუთარი ინტერესების სრულად ასახვა უჭირს“.**

ამ შეფასების საილუსტრაციოდ გობრონიძეს რკინიგზის მშენებლობის დაფინანსების საკითხი მოჰყავს: **„აზერბაიჯანული ბანკიდან ავიღეთ კრედიტი, ვიქირავეთ აზერბაიჯანული კომპანია, აზერბაიჯანულ კრედიტს ვუხდით ამ კომპანიას და კრედიტს ვაბრუნებთ ბანკში. ეს ჩვენთვის ძალიან წამგებიანი პოზიციაა. ამ ფონზე არ არის გასაკვირი, რაც მოხდა“.**

საქართველოს ჩაურთველად მემორანდუმის გაფორმება, მისი შეფასებით, ძალიან ცუდია და ნამდვილად არ მეტყველებს კარგად სახელმწიფოზე: **„ერთია, რომ ჩვენს დიპლომატიას დააკლდა პროაქტიურობა და არ ჰქონდა საკმარისი კომუნიკაცია პარტნიორებთან, მაგრამ ქართულ სახელმწიფოს უნდა სცოდნოდა აღნიშნული მოლაპარაკებების შესახებ თუნდაც სხვა არხებიდან. ვგულისხმობ იმ სამსახურებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამგვარი ინფორმაციის მოძიებაზე და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის მიწოდებაზე. რუსეთი მიუერთდება ამ პროექტს, ჩინეთი, ბრაზილია თუ არგენტინა, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს უნდა ხდებოდეს საქართველოს უშუალო ჩართულობით და თანხმობით, რადგან ამ პროექტს შემთხვევით არ ჰქვია ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა — აქ საკვანძო პუნქტი ახალქალაქია. თუ არ იქნება ახალქალაქი, ბაქოდან ყარსამდე რკინიგზა ვერ გავა. თავად ეს მოცემულობა გულისხმობს, რომ პროექტში ახალი აქტორის დამატების შესახებ საქართველო წინმსწრებად უნდა იყოს ინფორმირებული. იმედია, ქართული დიპლომატია პარტნიორებთან შეხვედრაზე დასვამს ამ საკითხს. არ შეიძლება, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები, რომლებიც თავს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს, სტრატეგიულ მოკავშირეს უწოდებენ, ჩვენს ზურგს უკან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს სახლმწიფოსთან, რომელთანაც ფორმალურად საომარი მდგომარეობა გვაქვს“.**

მისივე აზრით, პროექტში რუსეთის ჩართვა შესაძლოა, გარკვეულ კონტექსტში საქართველოსთვის მომგებიანიც იყოს, მაგრამ გასარკვევია, რამდენად აწყობს ქვეყანას, ქართული ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზარდოს.

გობრონიძე რკინიგზის თემაზე ქართულ და რუსულ მხარეებს შორის გარკვეული კომუნიკაციის არსებობას არ გამორიცხავს: **„დიახ, თურქეთს რიგ შემთხვევებში ახასიათებს მეზობელი ქვეყნების ინტერესების იგნორირება, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც უნდა ეკითხა, „უკაცრავად, თქვენს ტერიტორიაზე რომ გამოიაროს რუსულმა ტვირთებმა, პრობლემა ხომ არ იქნებაო?“ საინტერესოა, რატომ იყო თურქეთის ადმინისტრაცია დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს მთავრობას ამ ყველაფერთან დაკავშირებით პრობლემები არ ექნებოდა. შეიძლება, ცალკე რაღაც ტიპის კომუნიკაცია არსებობდა საქართველოსა და რუსეთს შორის, რის შესახებაც არ ვიცით. წარსულში რამდენჯერმე გავხდით მსგავსი ფაქტების მოწმე: იგივე „გაზპრომთან“ დადებული შეთანხმება დღემდე საიდუმლოა როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე აკადემიური წრეებისთვის, არ ვიცით, რამდენს ვიხდით რუსულ გაზში. არ მაქვს გარანტია, რომ მსგავსი საუბარი არ იყო ამ შემთხვევაშიც“.**

ანკარაში გაფორმებული მემორანდუმის კონტექსტში გობრონიძე პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო დაპირებას იხსენებს, რომელიც, მისი შეფასებით, არ სრულდება: **„სალომე ზურაბიშვილმა თქვა, „ნებისმიერ საერთაშორისო მოლაპარაკებაში, სადაც საუბარი შეეხება კავკასიას, საქართველოს და რუსეთის ფედერაციას, ჩვენ ვითხოვთ, პარტნიორებთან ერთად ვისხდეთ მაგიდასთან და არ დავრჩეთ თამაშგარე მდგომარეობაშიო“. შესაძლოა, ეს იყო (ზურაბიშვილის) ერთადერთი სწორი განცხადება, რომელიც გაკეთდა, მაგრამ ის ვერ სრულდება“...**

# თემურლენგი და ბიძინა წყალტუბოში

**ბიძინა ივანიშვილის განაცხადმა წყალტუბოს აღორძინების შესახებ, საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. აშკარად გამოჩნდა, თუ როგორ აწუხებს ხალხს ამ მშვენიერი, საყოველთაოდ ცნობილი კურორტის გავერანება და უპერსპექტივობა... და აი, აღმოჩნდა, რომ მონდომების შემთხვევაში ეს არ ყოფილა უიმედო და ცხრა მთას იქით გადასადები საქმე. თურმე, გვაქვს შემოსავლის მატების რეზერვი, თურმე გვაქვს სამუშაო ადგილების შემომატების შესაძლებლობა!**

ამაზე მსჯელობს ხალხი, იწონებს. ოღონდ, მართლა იწონებს, მხოლოდ სიტყვით კი არა!

ამასთან ისიც გაირკვა, რომ ყველა როდია ჯანსაღად დაინტერესებული. ზოგის ინტერესში აშკარად ჩანს შურის, მტრობის კუდი. ისიც იკვეთება — ოღონდ ამ სიკეთეს ბიძინას სახელი არ ერქვას და წყალტუბო სულაც გადამწვარა და აღგვილა პირისაგან მიწისა. ასეთ დამოკიდებულებას თვით ბიძინაც ვარაუდობს. აკი ამბობს, არ მოისვენებენ თეთრის შავად და შენების ნგრევად წარმომჩენებიო, მაგრამ ამას არც დაუფრთხია და არც ხელი აუღებინებია განზრახულზე. ისინი კი მაინც თავისას მიერეკებიან...

აი, თუნდაც — ჩავრთე სამშაბათს ტელევიზორი „კავკასიაზე“. ნინო ჯანგირაშვილს დავით უსუფაშვილი ეჯდა. სწორედ მან შეაჩერა ჩემი ყურადღება, თორემ ამ არხის დიდი მაყურებელი არ გახლავართ. ვუსმინე საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს და გაოცებული დავრჩი, რადგან ის ჩემზე ყოველთვის გაწონასწორებული, საღად მოაზროვნე, მართლისმთქმელი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ოღონდ ეს კია, იმასაც ვამჩნევდი, რომ თანდათან „ცურდებოდა“, მის სიტყვებში არაჯანსაღი მიკერძოება იჩენდა თავს, მაგრამ ასეთ სწრაფ და უკანმოუხედავ მეტამორფოზას არ ველოდი. ადვილად შესამჩნევი იყო, რომ წამყვანს სპეციალურად, ვითარების დასამუხტად ჰყავდა მოწვეული. ეს იმით იყო ნიშანდობლივი, თუ როგორ უწევდა თავისი საკმაოდ გაუმართავი, ღარიბული ლექსიკით შეკოწიწებული შეკითხვებით „სატოპკეებს“ და ისიც უმალ, მომზადებული სხაპასხუპით პასუხობდა.

დავით უსუფაშვილმა ბიძინა ივანიშვილის განაცხადში უმალ „მიაგნო“ „სუსტ წერტილს“ და შაუბერა — წყალტუბოში ყველა სარემონტო ობიექტის შესყიდვას რომ აპირებს, ის ყველა ობიექტი სახელმწიფოს გასაყიდად აქვს კი გამოტანილიო?! ქვეყანა თავისი ჰგონია და როგორც სურს, ისე ექცევაო. მერე ეს ჩვენ გვინდაო?! ამ გენიალური მიგნებით მან, ფაქტობრივად, „ძირს დასცა“ ბიძინას დაანონსებული მიზანი.

ერთი სიტყვით, დავით უსუფაშვილი ისე დაუბრმავებია ივანიშვილის სიძულვილს, რომ მისი ხელით გაკეთებული არავითარი კარგი საქვეყნო საქმის აღიარება არ სურს. სამაგიეროდ, წარმოგვიჩინა ნაღდი სამომავლო სიკეთე — ჩემი „შენების მოძრაობა“ 2020 წლის თებერვლისთვის პარტიად გარდაიქმნება და ქვეყანას სიუხვის რქას დააბერტყავსო.




დავით, იქნებ ქვეყნისთვის ის უფრო დიდი სიკეთე იყოს, თუკი „შენება“ ათასმეერთე პარტიად არ მოევლინება ქვეყანას სხვა ათასი ტარაკანის რიგში, ან პოლიტიკური რუკიდან საერთოდ გადაშენდება?!

ბატონი ბიძინას განაცხადი უმალ მისწვდომია მიხეილ სააკაშვილის გაფაციცებულ ყურს და უმალვე გამოეხმაურა კიდეც. ოღონდ უსუფაშვილივით უთავბოლო კირკიტი არ დაუწყია, მხოლოდ ის გვამცნო, რომ იდეა წყალტუბოს აღდგენისა, ჩემია, მე მეკუთვნის და პირველობას არავის დავუთმობო. მე ვთქვი პირველმა, რომ წყალტუბოს რეაბილიტაცია ქვეყნისთვის დიდი შენაძენი იქნებაო.

ექსპრეზიდენტმა დაირცხვინა და ყველაფერი არ გაამხილა, მაგრამ ჩვენ, ხალხს, რომელსაც მართალია, არავინ არაფერს გვეკითხება, მაგრამ კარგად გვახსოვს რაც თქვა და როგორც თქვა. თქვა კი ისეთი კრეტინობა, რომ თმები ყალყზე დაგვიდგა!

მიხეილი იმ დღეს (2010 წლის ნოემბრის პირველი დეკადა გახლდათ) თავისუფალ უნივერსიტეტში (მარტივად, ბენდუქიძის უნივერსიტეტს რომ უწოდებენ) ბრძანდებოდა და, რა თქმა უნდა, ჩვეულებისამებრ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე გამოვიდა მგზნებარე სიტყვით, იმჯერად საქართველოს ნათელი მომავლის ნაცნობ და უცნობ რესურსებზე.

მაგრამ ამ პროზაული თემის მიუხედავად, მოახერხა და საუკუნეებში საგულდაგულოდ მიჩქმალული ერთი ისეთი ფაქტი გაგვიმხილა, ქართველ ისტორიკოსებს შურით სულ ჭაობისფერი დაედოთ. თურმე, ჩვენი კურორტი წყალტუბო კარგად იციან არაბულ სამყაროში. ეს იმის გამო, რომ მრისხანე თემურლენგს ფეხი ჰქონდა სამკურნალო და მისივე მოთხოვნით №6 ე.წ. „სტალინის საბაზანოში“ ყოველდღე დგაფუნობდა, მაგრამ აბაზანებმა იარა ვერ მოუშუშეს და გაბრაზებულმა უკან დაბრუნებისას გზად თბილისი გადაწვაო.

რა იციან ამ მტარვალებმა ეს: საჭურისმა აღა მაჰმად ხანმა 1795 წლის სექტემბერში თბილისის გოგირდის აბანოებში მამაკაცური ძალა რომ ვერ აღიდგინა, ადგა და თბილისი გადაწვა...

**ასე და ამრიგად გაირკვა მტარვალი თემურის ჭეშმარიტი მიზანი, თუ რატომ მოიჩქაროდა საქართველოში ლამის ყოველ წელს. უბრალოდ, 1362 წელს დაჭრილი ფეხი სტკიოდა, სამარყანდის პროფკავშირების საამირო საბჭოს მიერ გაცემული წყალტუბოს საგზური ჯიბეში ედო, მაგრამ საქართველოს მეფე გიორგი მეშვიდე ჯიუტად არ აძლევდა ვიზას. წყალტუბოს აბაზანები ჭრილობას არ არჩენს, ტყუილად რატომ უნდა შეიწუხო თავი, აი, რევმატიზმი რომ გაწუხებდეს, შენი ხმალი და ჩემი კისერი, კურორტის 22-ვე სანატორიუმი და 9-ვე საბაზანო შენს სამსახურში იგულეო. არ უშვებდნენ, მაგრამ ძალისძალად მოდიოდა.**

ერთი სიტყვით, წყალტუბოში სამკურნალოდ ჩამოვიდა, მაგრამ ოდენ იმერული ხაჭაპურისა და შაქრიანი ცოლიკაურის მეტი ვერაფერი მოინაგრაო.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა წყალტუბოს მთელ მსოფლიოში სახელგანსმენილობის ერთ-ერთ მიზეზად ისიც დაასახელა, რომ იქ 1950-იან თუ 1960-იან წლებში გამალ აბდელ ნასერი მკურნალობდაო.

**მართალია, მკურნალობდა 1968 წლის ივლისში. სტალინიც მკურნალობდა 1931 და 1951 წლების სექტემბერში, ოღონდ ეს ბოლო პაციენტი, როგორც უმნიშვნელო, არადჩასაგდები რუსული მოვლენა, პრეზიდენტს არ უხსენებია. არც ის, რომ წყალტუბოს რადიონული, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-სულფატური, ნატრიუმიან-კალციუმიან-მაგნიუმიანი მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები უკვე VIII საუკუნიდან იცოდნენ მეგრელმა მწყემსებმა და გვიშტიბის ცნობისმოყვარე მოსახლეობამ. სულაც არ არის გამორიცხული იმ გვიშტიბის ახლომახლო მურმან ყრუსაც ჰქონოდა კარავი გაშლილი დაქვეითებული სმენის აღდგენის იმედით.**

პრეზიდენტს არ უთქვამს, ვინ გაუზიარა მას სენსაციური ისტორიული ცოდნა თემურლენგის საქართველოში სამკურნალო დანიშნულებით მოსვლა-წასვლაზე, მთელი საქართველო რომ შეცდომაში შეიყვანა.

რატომღაც ვიფიქრე (მხოლოდ მე არა, სხვამაც), რომ წყალტუბოს სანატორიული კომპლექსის ასეთი ზოგადსაკაცობრიო ისტორიული მნიშვნელობით ხსენებისას, მის აღდგენა-რესტავრაციის აუცილებლობაზეც, ტურისტთა სამსახურში მისი რაც შეიძლება სწრაფად ჩაყენების სარგებლობა-მიზანშეწონილობაზეც იტყოდა რამეს. თქვენც არ მომიკვდეთ! სტატისტიკური მონაცემები განსჯისთვის: წყალტუბოს დამსვენებელთა რაოდენობამ 1970 წელს... 100 ათასს მიაღწია. აი, რა რესურსია ჩაძირული დღეს პირწმინდად განადგურებულ წყალტუბოში.

ახლა კი გამოდის მიხეილ სააკაშვილი და „ამტკიცებს“, წყალტუბოს რეაბილიტაციის იდეა ჩემი შემოქმედებააო.

ან გამოდის საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და ნერვებაშლილი ბრძანებს, ბიძინა ივანიშვილის განაცხადი კურორტის აღდგენის თაობაზე, ავანტიურააო.

**ეს წერილი მინდა სპარსეთის დიდი მეფის კიროსის მიერ ათობით საუკუნის წინათ ნათქვამი სიბრძნით დავასრულო: გამგებლობა მხოლოდ მისი ხვედრია, ვინც იმათზე უკეთესია, ვისაც უნდა განაგებდეს!**

**სამწუხაროა და საყოველთაოდ გასაკვირია, რომ ეს სიბრძნე იშვიათად მართლდება ცოცხალ პრაქტიკაში.**

**ალეკო ასლანიშვილი**

## „წყალტუბოს განვითარების პროექტზე ჩემი, როგორც ქვეყნის მოქალაქის, პასუხი არის მადლობა“



**წყალტუბოს განვითარების პროექტი მომავალში არა მხოლოდ იმერეთის აღორძინებას გამოიწვევს, არამედ გავლენას იქონიებს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე,** — ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

იუსტიციის მინისტრის თქმით, ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო, უპრეცედენტოდ მასშტაბური აქტი, მის მიერ უკვე განხორციელებულ სამ მილიარდიან ინვესტიციის მიღმა, მისასალმებელია.

**„ვერც ერთ ეპოქაში ჩვენმა ქვეყანამ ვერ შეძლო წყალტუბოს კურორტის აღორძინება, რადგან ცალკეული სასტუმროების რეაბილიტაცია ვერ აღმოჩნდა ვერც რენტაბელური, არც საინტერესო სხვადასხვა ბიზნესისათვის. ეს ვერ გააკეთა სახელმწიფომ, მათ შორის, როდესაც ამ სახელმწიფოს სათავეში ედგა ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო, უპრეცედენტოდ მასშტაბური აქტი, მის მიერ უკვე განხორციელებულ სამ მილიარდიან ინვესტიციის მიღმა, არის მისასალმებელი. თავად რეაბილიტაციის პროცესში, რომ იმერეთის რეგიონში 8 ათასი ადამიანი დასაქმდება და ესეც არის ნამდვილად ხაზგასასმელი. მომავალში ეს არა მხოლოდ იმერეთის აღორძინებას გამოიწვევს, არამედ გავლენას იქონიებს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

## ნათია თურნავა არ გამორიცხავს, რომ ბიძინა ივანიშვილს წყალტუბო სიმბოლურ ფასად გადაეცეს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა მიესალმება „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, წყალტუბოს აღორძინების პროექტთან დაკავშირებით.

**„ბატონი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა არის ნამდვილად გარღვევა იმ თვალსაზრისით, რომ მთავრობები ვერ გაუმკლავდნენ დღემდე, მათ შორის ჩვენც ვერ გავუმკლავდით ბოლომდე იმ ამოცანას, რასაც ჰქვია წყალტუბოს ასეთი სისტემური მიდგომის მეშვეობით აღორძინება. მან გამოიჩინა ეს ინიციატივა. რა ფორმით მოხდება ეს, როგორ მოხდება, რა ვადებში და ა.შ. ეს არის ის დეტალები, რომლებზეც ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიმუშავებთ იმიტომ, რომ ეს ინიციატივა გაჟღერდა გუშინ, მაგრამ მთავარი არის, რომ ეს ადამიანი ქველმოქმედების ფარგლებში, ყოველგვარი სასყიდლის გარეშე მზად არის, რომ რესურსული მხარე აიღოს თავის თავზე, სისტემური მიდგომა შეკრას და ლოკომოტივის ფუნქცია შეასრულოს სხვა ბიზნესებთან ერთად“.**



ამასთან, ნათია თურნავას განმარტებით, წყალტუბოს საკითხი მთავრობების წინაშე ბოლო 20 წელია, რაც დგას.

**„მოხერხდა გარკვეული წერტილოვანი პრივატიზებები, მაგრამ ეს არის ალბათ, მხოლოდ 10% იმ საპრივატიზაციო ობიექტების, რაც იყო გატანილი და იქაც თუ შეხედავთ, ინვესტორები სხვადასხვა პრობლემას აწყდებიან, იმიტომ, რომ ზოგადად, ეს არის ძალიან დიდი ამოცანა. დიდ რესურსებთანაა დაკავშირებული, ბიზნესრისკებთანაც არის დაკავშირებული და აქედან გამომდინარე, ცალკეული ინვესტორები ამას ვერ უმკლავდებიან. ამიტომ, გამოიკვეთა აუცილებლობა ასეთი სისტემური მიდგომის და მძლავრი ინიციატივის, რომელიც ნაწილ რისკებს თავის თავზე აიღებს, შეასრულებს ყინულმჭრელის ფუნქციას“,** — განაცხადა მინისტრმა.

# ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ!

# „მაგთის ციფრული ოთახი“ მოსწავლეებისთვის

**საქართველოში საკომუნიკაციო სფეროს ლიდერი, სს მაგთიკომი მუდამ მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის, მათი საყოველთაოდ მისაწვდომობის გზების ძიების წინა ხაზზეა, რაც ფართო სპექტრის საქველმოქმედო მოღვაწეობასთან ერთად სამამულო ბიზნესის ერთ-ერთ გამორჩეულ კომპანიად წარმოაჩენს.**

**მაგთიკომმა ქვეყნის საკომუნიკაციო სივრცის ხვალინდელ დღეზე ზრუნვის ერთი საუცხოო მაგალითი ამ რამდენიმე დღის წინათ შემოგვთავაზა: ჩვენს ახალგაზრდებს კომპანიამ შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა — ფირმის სპეციალისტებმა თბილისის 133-ე საჯარო სკოლას ინოვაციური მეთოდებითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი „ციფრული ოთახი“ მოუწყვეს.**

მაგთიკომმა სრულიად ახლებური სასწავლო სივრცე შექმნა — ესაა „მაგთის ციფრული ოთახი“, რომელიც უახლესი აპარატურითა და სწავლების თანამედროვე ფორმების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითაა აღჭურვილი. აღსანიშნავია, რომ ამ დიდებული საჩუქრით სარგებლობა სკოლის უკლებლივ ყველა ბავშვს შეეძლება, რადგან „მაგთის ციფრული ოთახი“ პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. თავად ციფრული ოთახის ტექნოლოგიური აღჭურვილობა — „ჭკვიანი“ პროექტორი, ინტერაქტიური მაგიდები, ვირტუალური და რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიები სასწავლო პროცესს ბავშვებისთვის ადვილად აღსაქმელს, საინტერესოსა და სახალისოს ხდის.

„მაგთის ციფრული ოთახის“ ვირტუალური და რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიების ავტორია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ვირტუალური მოდელირებისა და კონსტრუირების ცენტრის ხელმძღვანელი, აგრეთვე SEIT Academy-ს დამფუძნებელი **დავით სონღულაშვილი.** ის დღეს ჩვენი სტუმარია და ინოვაციურ მეთოდებზე მოგვითხრობს:

**— სადღეისოდ სკოლებში სასწავლო პროცესის მაქსიმალური სრულყოფისთვის აუცილებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლება ხორციელდებოდეს ინოვაციური მეთოდებით და ტექნოლოგიების რაც შეიძლება მეტად გამოყენებით.**

**კომპანია მაგთიკომი, რომელიც მუდმივად ცდილობს საჯარო სკოლების დახმარებას და გვერდში დგომას, ამასთანავე, სახელმწიფოში განათლების სისტემის გაძლიერების ხელშემწყობია, აღნიშნული პროექტის ფარგლებში საუცხოო შანსს აძლევს გამარჯვებულ სკოლებსა და ყველა მათ მოსწავლეს, რომ რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიების მოწყობის შედეგად დიდ წარმატებებს მიაღწიონ და ღირსეულად შეხვდნენ 21-ე საუკუნის გამოწვევებს.**

უნდა ითქვას, რომ „მაგთის ციფრული ოთახის“ ვირტუალური ლაბორატორია ინტერაქტიური სიმულაციის პრინციპზეა დამყარებული, რაც საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს და, ამასთანავე, ამარტივებს კიდეც. ვირტუალური ექსპერიმენტები მაქსიმალურადაა მიახლოებული რეალობასთან, რაც უხილავ მოვლენათა ვიზუალიზაციის შესაძლებლობას იძლევა, მოსწავლეებს კი იმის პირობებს უქმნის, რომ უფრო ღრმად ჩასწვდნენ მოვლენათა არსს და თავადაც გახდნენ ექსპერიმენტის მონაწილენი.

საინტერესოა რას ამბობს ყოველივე ამის თაობაზე 133-ე საჯარო სკოლის დირექტორი **ლიანა ფუტკარაძე:**

— ჩვენი სკოლა პროექტის „ციფრული სკოლა — საქართველოს“ მონაწილე იყო, რომელშიც წარვადგინეთ ჩვენი მოსწავლეების მიერ განხორციელებული ინოვაციური პროექტები და გავიმარჯვეთ. პრიზი საუცხოო მივიღეთ — მაგთიკომის სპონსორობით და ჩართულობით სკოლისთვის მოეწყო ყველაზე ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ვირტუალური



**– საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა მაგთიკომისთვის წლების მანძილზე პრიორიტეტულია!**



ლაბორატორია. ამ შესაძლებლობას სკოლა, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად გამოიყენებს. დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო მაგთიკომს ამ ფასდაუდებელი მხარდაჭერისთვის. ისიც მინდა ვთქვა, რომ განათლებაში დაბანდებული ინვესტიცია მუდამ ყველაზე დიდ ეკონომიკურ სარგებელს იძლევა.

**— საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა მაგთიკომისთვის წლების მანძილზე პრიორიტეტულია, — განაცხადა 133-ე საჯარო სკოლისთვის ციფრული ოთახის გამართვასთან დაკავშირებით, კომპანიის კომერციულმა დირექტორმა ნიკოლოზ დავითაშვილმა. — იმის გათვალისწინებით, რომ განათლებული, ინოვატორი მომავალი თაობის აღზრდა ქვეყნის, საზოგადოების სწრაფი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა, მაგთიკომი ხელს უწყობს სწავლების პროცესში თანამედროვე მიდგომებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას. ეს ყველაფერი კი მნიშვნელოვნად ზრდის საზოგადოების მოტივაციას და ხელმისაწვდომობას უმაღლესი სტანდარტის შესაბამისი განათლების მიღებასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოსაყენებლად.**

**ოთარ ტურაბელიძე**

„მაგთის ციფრული ოთახის“ ვირტუალური ლაბორატორია ინტერაქტიური სიმულაციის პრინციპზეა დამყარებული, რაც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ხარისხს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს



# ციხე-სოფელი მუცო „საზოგადოების რჩეულია“...

**პარიზში ევროპული მემკვიდრეობის დაჯილდოებაზე ციხე-სოფელ მუცოს „საზოგადოების რჩეულის“, მისი რეაბილიტაციის პროექტს კი „ევროპა ნოსტრას“ ჯილდო გადაეცა. სამიტზე 27 გამარჯვებულს შორის ციხე-სოფელი მუცოს რეაბილიტაციის პროექტიც დასახელდა, რომელიც კომპეტენტური ჟიურის მიერ 34 ქვეყნის 149 განაცხადიდან შეირჩა და წლის საუკეთესო კონსერვაციის პროექტად დასახელდა.**

აღნიშნული პროექტი კონკურსზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 2018 წელს წარადგინა.

ევროპა ნოსტრა წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პანევროპულ ფედერაციას, რომელსაც მხარს უჭერენ როგორც კერძო კომპანიები, ასევე საჯარო დაწესებულებები და ინდივიდები. ორგანიზაცია აერთიანებს ევროპის 40 ქვეყანას და მიზნად ისახავს ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას.

ევროპანოსტრა დაარსდა 1963 წელს და დღეისთვის იგი ყველაზე წარმომადგენლობითი ევროპული ქსელია.

საქართველოს პრეზიდენტმა სამიტის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ქართული პროექტის აღიარებისა და მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა.




სალომე ზურაბიშვილმა დელეგატები მუცოში დაპატიჟა და აღნიშნა, რომ ამ სოფლის დათვალიერება სხვა სამყაროსა და სხვა საუკუნეში მოგზაურობას ნიშნავს.

**„ყველა პროექტი ადამიანებთანაა დაკავშირებული. მუცოს რეაბილიტაციის პროექტი კი, სოსო ბანძელაძეს უკავშირდება, რომელიც დღეს ჩვენს შორის აღარაა. ის ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენ-**



**და, რომ ოდესმე, პარიზში, შატლეს თეატრში მისი პროექტი „საზოგადოების რჩეულის“ პრიზს მიიღებდა.**

**ეს კი ევროპაში დაბრუნებას ნიშნავს.**

**მიმაჩნია, რომ ჩემი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, მისია საქართველოს ევროპაში დაბრუნებაა. ევროპაში კი ჩვენ ასე ვბრუნდებით — კულტურით“, —** აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. სალომე ზურაბიშვილმა სამიტის მონაწილეებს უახლოეს მომავალში საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დღეების ჩატარება შესთავაზა.



# მსოფლიო მონუმენტთა ფონდი და თუშეთის ეროვნული პარკი

**მსოფლიო მონუმენტთა ფონდმა შეადგინა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის 25 უნიკალური ძეგლის ნუსხა, რომელიც „ჩვენს დაცვას და გაფრთხილებას საჭიროებენ“. ნუსხა ყოველწლიურად ახლდება.**

**„ზოგჯერ ჩვენ მხოლოდ მაშინ ვაცნობიერებთ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებასა და მნიშვნელობას, როდესაც ისინი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებიან. მხოლოდ მაშინ ვხვდებით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ მოქალაქეების, საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებისთვის“,** — ამბობს ფონდის დირექტორი.

მსოფლიო მონუმენტთა ფონდი ყოველწლიურად ადგენს ნუსხას იმ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა, რომელიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ.

ფონდი ასევე გამოყოფს სახსრებს ამა თუ იმ ძეგლის რებილიტაციისათვის.

საფრთხის ქვეშ მყოფთა ნუსხაში ფონდმა შეიტანა ასევე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მონუმენტთა ფონდის ვებგვერდზე ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისთვის სასურველი ძეგლისთვის ფინანსური ტრანზაქცია განახორციელოს.

# პაციენტებს ზუსტი დიაგნოზი ხელოვნური ინტელექტის მქონე მოწყობილობით დაესმებათ!

**საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სექტორში პაციენტები ინოვაციური ტიპის მომსახურებას ტელემედიცინის დანადგარის საშუალებით მიიღებენ. ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.**

უწყების ცნობით, „პირველადი ჯანდაცვის ციფრული დიაგნოსტიკური ცენტრი“ არის ხელოვნური ინტელექტის მქონე აღჭურვილობა. მისი გამოყენებით შესაძლებელია სამედიცინო კვლევის ჩატარება, პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების მიღება, შენახვა და დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა.

**„ტელემედიცინის მოწყობილობას აქვს შესაძლებლობა, გაზომოს ადამიანის სხეულის მასის ინდექსი, წონა, სიმაღლე, ჟანგბადის კონცენტრაცია, გლუკოზის, შარდმჟავას, ქოლესტერინის შემცველობა სისხლში, შეუძლია ორგანიზმში ცხიმიანობის ხარისხის დადგენა, სხეულის ტემპერატურის, სისხლის წნევის გაზომვა, ელექტროკარდიოგრაფიული კვლევის ჩატარება, ლიპიდური სპექტრის განსაზღვრა. არსებობს როგორც დიდი ზომის, ასევე პორტატული აპარატები, რომელთაც საკმაოდ მძლავრი ფუნქციები აქვთ და შეუძლიათ, გამოიკვლიონ სხვადასხვა ორგანო, მათ შორის შესაძლებელია თვალის ფსკერის, ყელის, ყურის, პირის ღრუს დიაგნოსტირება. ასევე, ელექტროკარდიოგრაფიული და ულტრასონოგრაფიული კვლევის ჩატარება. ციფრული სტეტოსკოპის აპარატით შესაძლებელია გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი პათოლოგიის დიაგნოსტირება. კვლევის შედეგები მონაცემთა ერთიან ბაზაში იგზავნება“,** — აღნიშნულია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

უწყების ცნობით, ტელემედიცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობა დისტანციური კომუნიკაციაა, რომელიც დაფუძნებულია ხელოვნურ ინტელექტზე. სპეციალური ვიდეოზარის საშუალებით, ექიმ-სპეციალისტს შეუძლია ოჯახის ექიმთან




ვიზიტზე მყოფი პაციენტის კონსულტირება და დიაგნოსტიკა.

**„პირველად ჯანდაცვაში ტელემედიცინის გამოყენება დადებითი შედეგის მომტანია სხვადასხვა მიმართულებით. მისი დანერგვა იძლევა სასწრაფო დახმარების საჭიროების შემცირების საშუალებას, რაც საერთაშორისო მონაცემების თანახმად, 30 პროცენტით ამცირებს ჰოსპიტალური შემთხვევების რაოდენობას და მათზე დანახარჯებს. ციფრული ჯანდაცვა მნიშვნელოვანია არამხოლოდ პერსონალურად პაციენტისთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც, რომელსაც ეძლევა მეტი შესაძლებლობა, მუდმივად განახლებადი მონაცემებისა და სტატისტიკის საფუძველზე განსაზღვროს ჯანდაცვის პოლიტიკა და სტრატეგია“,** — ამბობენ ჯანდაცვის სამინისტროში.

ინიციატივა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკუთვნის. ტელემედიცინის მოწყობილობების დანერგვა მომავალი წლიდან დაიწყება და თავდაპირველად 25 გეოგრაფიულად დაშორებულ ლოკაციაზე განთავსდება.

# ქართული ღვინის ფორუმი ბოსტონში

**აშშ-ში, ქალაქ ბოსტონში „ქართული ღვინის ფორუმი“ გაიმართა, რომლის ორგანიზატორები ამერიკასაქართველოს ბიზნესსაბჭო, ღვინის ეროვნული სააგენტო და ასოციაცია „ქართული ღვინო“ იყვნენ.**

ფორუმის სამდღიანი პროგრამა მოიცავდა „საფერავისა და ქვევრის ღვინის ფესტივალს“, „ქვევრის სიმპოზიუმს“ და „ქართული ღვინისდეგუსტაცია-სემინარს კომერციული პირებისთვის“. ღვინის ეროვნული სააააგენტოს ინფორმაციით, შარშანდელის მსგავსად, წელსაც „ქართული ღვინის ფორუმის“ მიმართ ინტერესი დიდი იყო როგორც სამეცნიერო წრეების, ისე ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლების მხრიდან.

„ქვევრის სიმპოზიუმზე სხვა გამომსვლელებს შორის იყო პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი პატრიკ მაკგოვერნი, რომლის ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევების შედეგად დადასტურდა, რომ 8 ათასი წლის წინ, მსოფლიოში პირველი ღვინო სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე დაიწურა.

„ქვევრის სიმპოზიუმს“ აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით ბაქრაძე დაესწრო, რომელმაც შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა“, — აღნიშნულია სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ფორუმის ფარგლებში ჩატარებულ საფერავისა და ქვევრის ღვინის კონკურსზე წარმოდგენილი იყო 20-მდე ქართველი მწარმოებლის პროდუქცია, ხოლო დასკვნით დღეს გამართულ ქართული ღვინის დეგუსტაციაზე სხვა ქართული ღვინოების გვერდით, იყო მიმდინარე წელს საქართველოში ჩატარებული ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული 30-მდე ღვინო.

ფორუმის მონაწილეების შეფასებით, მსგავს ფორმატში ქართული ღვინის წარდგენა მიანიშნებს, რომ საქართველოს მეღვინეობასთან არამხოლოდ 8000-წლიანი ისტორია აკავშირებს, არამედ თანამედროვე, განვითარებული ღვინის ინდუსტრია და საუკეთესო ხარისხის მრავალფეროვანი ღვინოები აქვს.

„აშშ წარმოადგენს ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის, ქართული ღვინის ფორუმი იმართება. ამ ღონისძიებებმა შედეგად უკვე მოიტანა მეტი გაყიდვები და ექსპორტის ზრდა ამ უმნიშვნელოვანეს ბაზარზე“ — აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზლამ. მიმდინარე წლის ცხრა თვის მონაცემებით, საქართველოდან აშშ-ში ნახევარ მილიონზე მეტი ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული, რაც 60 პროცენტით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.



# რუსეთი აუცილებლად უნდა შევაჩეროთ!



## ბრაიან უიტმორი: „დასავლეთში საქართველოს რებრენდინგის დროა“

**ევროპის პოლიტიკის ანალიზის ცენტრის რუსეთის პროგრამის დირექტორი ბრაიან უიტმორი აცხადებს, რომ საქართველომ მარკეტინგის სტრატეგია უნდა შეცვალოს და დასავლეთს დაანახოს, რომ ნატოში გაწევრიანებით ის ალიანსის სამხრეთ ფლანგზე უსაფრთხოებას გააძლიერებს. ამ სტრატეგიის ერთ ნაწილად მას ანაკლიის პორტის აშენება მიაჩნია.**

**— ბრაიან, დიდი მადლობა ჩვენთვის დრო რომ გამონახეთ. მოდით, დავიწყოთ იმ დიდ მოვლენებზე საუბრით, რომლებიც საქართველოს სამეზობლოში ვითარდება. შეერთებულმა შტატებმა სირიაში განლაგებული 700 ჯარისკაცი ქვეყნიდან გამოიყვანა. ამით ახლო აღმოსავლეთში რუსეთის პოზიცია გამყარდა. თქვენი აზრით, ექნება ამ გარემოებას გავლენა მეზობლებთან რუსეთის დამოკიდებულებაზე?**

— ამან შესაძლოა, რუსეთი წააქეზოს. აქ ორი რამ ხდება — ერთი ის, რომ რუსეთის მთავარი მიზანი ძველი იმპერიის აღდგენაა ნებისმიერი მეთოდით. მეორე კი,საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკებზე კონტროლის დაწესებაა. საშუალება რომ მიეცეთ, ისინი უფრო მეტად დასავლეთითაც წავლენ.

ის, რაც ახლო აღმოსავლეთში ხდება, 2015 წელს დაწყებული მოვლენების კულმინაციაა, როცა რუსეთი სირიის ომში პირველად ჩაერთო. ამ ნაბიჯით ცხადი გახდა, რომ რუსეთი იმ ქვეყნებში ცდილობს თავისი გავლენის გაძლიერებას, რომლებშიც საბჭოთა კავშირი იყო ძლიერი. მას შემდეგ, რაც მოსკოვს ახლო აღმოსავლეთში ძლიერი პოზიციები ჰქონდა, დიდი დრო გავიდა, მაგრამ ახლა ვხედავთ, თუ როგორ გახდა ახლო აღმოსავლეთში რუსეთი გადაწყვეტილების მიმღები ძალა. ეს არასოდეს მოხდება, მაგრამ ბატონ პუტინს რჩევას რომ ვაძლევდე, ვეტყოდი, რომ **ამ რეგიონში წამყვან ძალად ყოფნა სასიამოვნო რამ არ არის. ჩვენ ეს საკუთარ თავზე გამოვცადეთ**.

ახლა ეს პუტინისთვის დიდ გამარჯვებად გამოიყურება. რუსეთმა ის ვაკუუმი შეავსო, რომელიც ამერიკის გამოსვლამ დატოვა. უცნაურია ის, რომ ამერიკა სირიიდან თურქეთის მოთხოვნის საფუძველზე გამოვიდა. პუტინმა კი ერდოღანს აჯობა. მათ შორის მიღწეულ შეთანხმებას რომ შევხედოთ, ერდოღანმა საზღვრის დაახლოებით 100-კილომეტრიანი მონაკვეთ მიიღო, რუსეთმა კი დანარჩენი სირია. ძალიან საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები შორეულ პერსპექტივაში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში, რომლებიც მოკავშირეები არასოდეს ყოფილან. ერდოღანი ერთ დღეს გადაწყვეტს, რომ თურქეთის უკანა ეზო დაიბრუნოს, სირია კი ერდოღანის ეზოა და არა რუსეთის.

**— არ მესმის თურქეთის პოზიცია...**

— არც მე. მართალი გითხრათ, გამიკვირდა, რატომ დანებდა ერდოღანი პუტინს ასე სწრაფად. ეს ურთიერთობა შეიცვლება და მას თვალი უნდა ვადევნოთ. ყოველთვის საინტერესოა, როგორ ვითარდება მათი ურთიერთობა. ისინი ყოველთვის უფრო მტერ-მეგობრები იყვნენ. მას შემდეგ, რაც თურქეთმა რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო, მათ შორის დაძაბულობა გაღრმავდა, მაგრამ ამას შემდეგ მათ შორის „რომანსი მოჰყვა“. ახლა კი ეს... მე ამას თურქეთის კაპიტულაციად ვაფასებ.

**— ამ ეტაპზე ჩანს, რომ ეს მოსახერხებელი პარტნიორობაა ორივესთვის, მაგრამ არ ვიცით როდემდე...**

— მათი ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და არ ვიცი, კეთილგანწყობა რამდენ ხანს გასტანს. ამ დროისთვის მდგომარეობა ისე გამოიყურება, რომ პუტინმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ ვნახოთ — იყო წამყვანი ძალა ახლო აღმოსავლეთში, ძალიან რთული საქმეა. არ მგონია, რუსეთს მოთმინება, შესაძლებლობა და ცოდნა ჰქონდეს იმისთვის, რომ იქ დიდი ხნით დარჩეს.

თქვენს თავდაპირველ კითხვას რომ დავუბრუნეთ, თუ რა გავლენა ექნება რუსეთის ასეთ გაძლიერებას რეგიონზე, ამას ვიტყვი. პუტინმა საქართველოსა და უკრაინაში საკუთარი შეცდომებიდან ისწავლა და გადაწყვიტა, ახლა სხვა მიდგომა ჰქონდეს. ის უფრო მეთოდურად უდგება საქმეს, ვიდრე აქამდე. არ მგონია, რომ მან საქართველოში რაიმე ხისტი მოიმოქმედოს. ის ოლიგარქიული სტრუქტურების გამოყენებით ცდილობს სახელმწიფოს მიტაცებას ყველგან, სადაც შეუძლია.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ერთი შეხედვით სამხედრო გაძლიერებამ რუსეთს სამეზობლოში პოლიტიკური გაძლიერების საშუალება მისცა? უკრაინაში რუსეთი აგრესიას აგრძელებს, საქართველოში უკანონო ბორდერიზაციის პროცესი და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია გრძელდება, დასავლეთის მხრიდან კი რეალური შეწინააღმდეგების ნიშნები არ ჩანს. რუსეთი სამეზობლოშიც გაძლიერდა?**

— ეს მას უფრო ძლიერად წარმოაჩენს და ამ წარმოდგენებს, განსაკუთრებით ახლა, როცა დასავლეთის მხრიდან სერიოზული რეაქცია არ არის, დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველო ვაშინგტონის პოლიტიკურ დღის წესრიგში უკვე გარკვეული ხანია, აღარ ზის. იგივე ხდება ევროპის დედაქალაქებში. მთავრობა აცხადებს, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია ქვეყნის პრიორიტეტია, მაგრამ ზოგიერთი ქმედება ამაზე არ მიუთითებს. ის, რაც მე მაწუხებს, ანაკლიის პორტის აშენების პროცესისთვის ზიანის მიტანა, საარჩევნო კანონის შეცვლა და ბარიერის მინიმალურად შემცირება ჩემთვის საეჭვო მოქმედებაა. ზოგიერთი ის ფაქტორი, რაც შეშფოთებას იწვევს, გარკვეულწილად, ხელს უშლის იმას, რომ საქართველო ამერიკის პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი იყოს.

**— წარმომადგენელთა პალატამ საქართველოს მხარდაჭერის აქტი ერთხმად მიიღო. ეს მხარდაჭერის დიდი გამოხატვაა. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ის?**

— ეს მხარდაჭერის მნიშვნელოვანი გამოხატვაა, მნიშვნელოვანი დასტურია ჩვენი ორმხრივი კარგი ურთიერთობის. მაგრამ ასევე მიმაჩნია, რომ საქართველოს რაღაცა ხელშესახები უნდა მივცეთ. მაგალითად, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის კარი უკვე დიდი ხანია ღიაა, მაგრამ დასავლეთში ვერ მოვაბით თავი იმას, რომ ზღურბლს აქეთ მოგიწვიოთ. მიხარია ის, რომ საქართველოს მხარდაჭერის აქტი მივიღეთ, მაგრამ ვისურვებდი, ქვეყანას უფრო მეტი გავუკეთოთ როგორც ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად, ასევე იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც საქართველოში დემოკრატიის გასაღრმავებლად იბრძვიან. საქართველოსთვის ძალიან რთული პერიოდია. რუსეთი ყოველდღიურად ზრდის ზეწოლას და ჩვენ მექანიზმები უნდა მოვნახოთ იმისთვის, რომ ეს ზეწოლა შევამციროთ.

**— თქვენ იმასაც ამბობთ, რომ საქართველოს სახელი ხელახლა უნდა შეიფუთოს იმისთვის, რომ ის უფრო მიმზიდველი გახდეს დასავლეთისთვის. რას გულისხმობთ?**

— უნდა შევცვალოთ მარკეტინგის სტრატეგია. მარკეტინგის წინა სტრატეგია იყო ასეთი, რომ საქართველო ნატოში უნდა მივიღოთ იმისთვის, რომ ის დიდი და ცუდი მეზობლისგან, რუსეთისგან დავიცვათ. ეს რთულად გასაყიდი იდეაა. შეიძლება ამერიკაში არა, მაგრამ გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში ამის არ სჯერათ. უნდა შევცვალოთ საქართველოს მარკეტინგი. საქართველოს შეუძლია თქვას, რომ ის ნატოს უსაფრთხოებისთვის დამატებითი დადებითი აქტივია და არა რაღაც ვალდებულება. მაგალითად, ნატოს სტრატეგი რომ ვიყო და შავი ზღვის რუკას დავხედო, ზედაპირულად, ეს რუკა არაჩვეულებრივად გამოიყურება — ხედავ ნატოს წევრ ბულგარეთს და რუმინეთს, თურქეთს, ნატოს პარტნიორებს საქართველოს და უკრაინას. კი, ჩრდილოეთით რუსეთია, მაგრამ შავი ზღვა ჩვენი — ნატოსია. მაგრამ როგორც კი ცოტა დააკვირდები ამ რუკას, კითხვები გიჩნდება — რამდენად სანდო პარტნიორია თურქეთი? ისინი რუსულ შეიარაღებას ყიდულობენ. რამდენად სანდო პარტნიორია ბულგარეთი? რუმინეთი კი, სანდო მოკავშირეა.

ნატოს შავ ზღვაში მეტი საყრდენი სჭირდება და საქართველო ერთ-ერთი ასეთი საყრდენია. აი, ასე უნდა შეცვალოთ მარკეტინგის სტრატეგია და ვფიქრობ, ამას უფრო მეტად გაიგებს ხალხი დასავლეთში.

ამასთან ერთად, საქართველომ აქტივები უნდა შექმნას იმისთვის, რომ დასავლეთს საკუთარი ფასი დაანახოს. ანაკლიის პორტი ერთ-ერთი ასეთი აქტივია. ის არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, არამედ საქართველოსთვის უსაფრთხოების ერთ-ერთი აქტივი იქნება. აშენების შემთხვევაში, ეს პორტი მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივი იქნება, რომელსაც დაცვა დასჭირდება. მის დაცვაში კი ბევრი მხარე მიიღებს მონაწილეობას. გენერალმა ბენ ჰოჯესმა თქვა, რომ ამ პორტის აშენებას უკან ამერიკის საზღვაო ძალები მოჰყვებაო. არ ვიცი, რეალურად რამდენად შეიძლება ეს მოხდეს, მაგრამ მეტაფორულად ამ განცხადებას დიდი შინაარსი აქვს. პორტს აქვს პოტენციალი, საქართველო რეგიონში ერთ-ერთ ცენტრალურ მოთამაშედ აქციოს, საქართველოზე დამოკიდებული გახადოს სავაჭრო გზები. ბერლინში, პარიზსა და რომში ამ არგუმენტს დაიჯერებენ. მაგრამ ამისთვის მთავრობას უნდა ჰქონდეს თანმიმდევრული პოლიტიკა.

**— რა უნდა გააკეთოს მთავრობამ?**

— ხელახლა დაადასტუროს საკუთარი პირობები. მაგალითად, ააშენოს პორტი. ასევე გააძლიეროს დემოკრატიული პროცესები. დღეს არსებობს შეშფოთება, რომ საქართველო წინ აღარ მიიწევს, რომ ქვეყანაში რუსული გავლენები ძლიერდება. ერთი მხრივ, ეს ჩვენი ბრალიცაა დასავლეთში — როცა ამდენი წლის განმავლობაში კარი ღიაა, მაგრამ მეგობარს შიგნით არ ეპატიჟები, შენი ზრახვების შესახებ მეგობრებს ეჭვს უჩენ.

**— ეს ფაქტობრივად ისაა, რასაც რუსეთი ამბობს.**

— რუსეთი ამაზე გათვლას აკეთებს და ამაში მდგომარეობს სტრატეგიული მოთმინებაც. ჩვენ დასავლეთში უკრაინის, საქართველოს თემებით თითქოს დავიღალეთ. რუსეთი კი ამ თემებით არასოდეს იღლება. გეოგრაფიას ამაში დიდი მნიშვნელობა აქვს. მე ვფიქრობ, რომ რუსეთისთვის ყველაზე კარგი ის იქნება, რომ საქართველო და უკრაინა ევროპულ ინსტიტუტებში გაწევრიანდნენ.

**— ამ თემაზე გაფართოების სკეპტიკოსები ამბობენ, რომ რატომ უნდა სურდეს რუსეთს ნატოს გაფართოება და საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანება?**

— ანუ რატომ უნდა უნდოდეს სტაბილური დემოკრატიები მის საზღვრებთან?! (ამას ცინიკურად ამბობს.) პასუხი ისაა, რომ ამ ეტაპზე სისტემური ბრძოლა მიმდინარეობს, რომლის ერთ მხარეს რუსული სისტემაა და მეორე მხარეს დემოკრატიული ღირებულებები. იმის გამო, რომ რუსეთი დღეს პუტინის სისტემით ცხოვრობს, რომელიც დიდწილად გავლენის სფეროებზე და ქსელებზეა დამოკიდებული, რუსეთს თავის გარშემო სტაბილური დემოკრატიების არსებობა არ სურს. სტაბილური დემოკრატიები საკუთარ მეზობლებს თავს არ ესხმიან, არ ცდილობენ მეზობლების დესტაბილიზაციას, არ ცდილობენ მათზე დომინირებას. ერთადერთი სტაბილური საზღვარი, რომელიც რუსეთს დღეს აქვს, ეს ნატოსთან მისი საზღვარია.

მე ამ ბრძოლაში საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას ფრონტის ხაზად ვხედავ. ჩვენ ამ ქვეყნებს უნდა დავეხმაროთ ამ ომში გასამარჯვებლად, სადაც სტაბილური დემოკრატიები იქნება — ინსტიტუტებზე, კანონის უზენაესობასა და ღირებულებებზე აშენებული. ეს სიტუაცია ცივი ომის დროს დასავლეთ ბერლინის სიტუაციას ჰგავს — აქ უნდა გავიმარჯვოთ, აქ დამარცხება არ შეიძლება იმიტომ, რომ თუ აქ დავმარცხდით, მაშინ მიზანს კიდევ უფრო დავშორდებით.

რუსეთის ყველა იმპერიული პროექტი საქართველოთი და უკრაინით იწყებოდა, მაგრამ რუსეთის არცერთი იმპერიული პროექტი მხოლოდ საქართველოში და უკრაინაში არ დამთავრდა. ევროპელებმა ეს უკეთ უნდა გააცნობიერონ, რადგან თუ რუსეთი არ გავაჩერეთ, საფრთხე დასავლეთით წავა. თუმცა ამჯერად ეს არ იქნება ტანკები, არამედ იქნება ბანკები. ეს არანაკლებ საშიშია ჩვენი ცხოვრების წესისთვის და ამიტომაც, რუსეთი უნდა შევაჩეროთ.

**„ამერიკის ხმა“**

# თურქეთი გმობს წარმომადგენელთა პალატის რეზოლუციას სომეხთა გენოციდის აღიარების შესახებ



**„რეზოლუციას, რომელიც აშკარად შიდა მოხმარებისთვის მიიღეს, არავითარი ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლები არ გააჩნია“,** — აცხადებს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, რეზოლუცია „გაუმართლებელი პოლიტიკური ნაბიჯია“ და იგი მხოლოდ სომეხთა ლობისა და ანტითურქული ჯგუფებისთვის არის მიღებული. ჩავუშოღლუს თქმით, სრულიად თურქი ხალხი და თურქეთის მთავრობა, რეზოლუციას იმთავითვე „ბათილად და ანულირებულად მიიჩნევს“.

**„რეზოლუცია ეწინააღმდეგება როგორც შეერთებული შტატების კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისო სამართალს“,** — დასძენს მევლუთ ჩავუშოღლუ.

შეგახსენებთ, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ სომხების გენოციდის აღიარებას მხარი დაუჭირა. ანალოგიური რეზოლუციები წლების განმავლობაში მზადდებოდა, თუმცა კონგრესმენების მხარდაჭერას ვერ იღებდა. ახლანდელი რეზოლუცია პალატის წევრების ჯგუფმა წარადგინა, რომელსაც დემოკრატი ადამ შიფი ხელმძღვანელობს.

**„არასდროს არის გვიან გენოციდის აღიარება, მაგრამ დღეს ეს განსაკუთრებით დროულია“,** — განაცხადა შიფმა.

**დოკუმენტს მხარი 405-მა კონგრესმენმა დაუჭირა, 11-მა კი წინააღმდეგ მისცა ხმა.**

ზოგიერთი ისტორიკოსის მონაცემებით, 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში 1,5 მლნ სომეხი მოკლეს. იმავე ისტორიკოსების მტკიცებით, ამ პერიოდში რეგულარულად მიმდინარეობდა ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის დევნა და მასობრივი მკვლელობა. ოსმალეთის იმპერიაში, სომეხი ერის გენოციდის ფაქტი ამ დროისთვის აღიარა 23-მა სახელმწიფომ, ასევე ევროპარლამენტმა და ეკლესიის მსოფლიო საბჭომ.

აშშ-მა ფაქტობრივად ცნო სომხების გენოციდი 1951 წელს, როდესაც ვაშინგტონმა შეიტანა განაცხადი გენოციდის მსხვერპლთა (სომხები, ებრაელები და პოლონელები) მხარდასაჭერად გაეროს საერთაშორისო სასამართლოში. 1981 წელს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ოფიციალურად გამოიყენა ეს ტერმინი, თუმცა მომდევნო პრეზიდენტებმა ამ ტერმინზე უარი თქვეს.

დღეისათვის სომხების გენოციდი ადგილობრივ დონეზე ოფიციალურად აღიარებულია 50-დან 49 შტატში, მაგრამ ფედერალურ დონეზე ეს ჯერ არ მომხდარა.

**თურქეთი კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას სომხების გენოციდის შესახებ და უკიდურესად მტკივნეულად რეაგირებს დასავლეთის მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებულ კრიტიკაზე.**

**ანკარა მოითხოვს ტერმინის — „გენოციდის“ ამოღებას და აცხადებს, რომ 1915 წელს თურქეთში განვითარებულ მოვლენებს ემსხვერპლნენ როგორც სომხები, ისე თურქები.**

# დუმილი სიბრძნის ნიშანია

**სომეხთა გენოციდის აღიარების შემდეგ, თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის საკითხიც შეიძლება, დადგეს დღის წესრიგში**

**ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობითმა პალატამ 1915 წელს თურქეთის მხრიდან სომხეთის გენოციდი აღიარა.** რას ნიშნავს შეერთებული შტატების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, რა გზავნილია ის მსოფლიოსათვის და რა პოზიცია უნდა ჰქონდეს ოფიციალურ თბილისს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „2020NEWS“ აღმოსავლეთმცოდნეს, „შენების მოძრაობის“ წევრს **დავით კობერიძეს** ესაუბრა.

**— ბატონო დავით, აშშ-ის წარმომადგენლობითმა პალატამ სომხეთის გენოციდი აღიარა. რას ნიშნავს შტატების მიერ გადადმული ეს ნაბიჯი და რა გზავნილია როგორც თურქეთისთვის, ისე დანარჩენი მსოფლიოსათვის ?**

— შტატების წარმომადგენლობითი პალატის მიერ სომხების გენოციდის თემას, რომელიც გასულ საუკუნეში განიცადა სომეხმა ერმა, ძალიან მტკივნეულად აღიქვამს თურქეთის რესპუბლიკა. შტატების მხრიდან გენოციდის აღიარებას უკვე მოჰყვა მძაფრი და გასაგები რეაქცია თურქეთის ხელისუფლების მხრიდან. ეს არ არის უბრალო საკითხი თურქეთისათვის.

სომხების გენოციდის აღიარებას შესაძლოა, შორს მიმავალი გეგმები ჰქონდეს. თურქები სწორედ ასე განიხილავენ ამ თემას, რადგან გენოციდის აღიარების შემდეგ დღის წესრიგში შეიძლება, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები დადგეს, როგორიც არის ქვეყნის ტერიტორიის და სუვერენიტეტის საკითხი. ამიტომაც შტატების ამ ნაბიჯს შორს მიმავალ შედეგებამდე შეიძლება, მიჰყავდეს თურქეთის რესპუბლიკა. სომხების გენოციდის საკითხი არ არის ისეთი ნაბიჯი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საჯარისო დანაყოფების დროებითი გაყვანა სირიის ტერიტორიიდან და შემდგომ ისევ შემოყვანა, თუმცა, თურქეთის ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ ამ აღიარებას უკან არავინ წაიღებს.

**— როგორ ფიქრობთ, აღნიშნული აღიარების პირობებში საქართველომ უნდა გამოხატოს თუ არა საკუთარი პოზიცია?**

— სომხების გენოციდის აღიარების შემთხვევაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საერთოდ უნდა შეიკავოს თავი რაიმე სახის პოზიციის გამოხატვისგან, რადგან ეს იქნება ერთადერთი სწორი პოზიცია.



საქართველოს არც აქამდე უღიარებია სომხების გენოციდი და ამ საკითხზე ოფიციალური პოზიციის დაფიქსირება, ან სხვა სახის აქტიურობა, არაა სასურველი. დუმილი სიბრძნის ნიშანია.

**ანა ქორჩილავა**

# ვინ „ჩაუშვა“ ნომერ პირველი ტერორისტი?

**აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის ადგილმდებარეობის და მის შესახებ სხვადასხვა ცნობების გადაცემისთვის ინფორმატორს აშშ-ი 25 მილიონ დოლარს გადასცემს. ამის შესახებ „ვაშინგტონ პოსტი“ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება.**

ამერიკული გამოცემის მიხედვით, ინფორმატორი ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში ირიცხებოდა და სირიაში, კერძოდ, იდლიბის პროვინციაში დაჯგუფების ლიდერის გადაადგილებას და სხვადასხვა ადგილში მის თავშესაფარს უზრუნველყოფდა. ის ტერორისტული დაჯგუფების ლიდერის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. როგორც ცნობილი ხდება, ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი ინფორმატორს იმდენად ენდობოდა, რომ საკუთარ ოჯახის წევრებს სამედიცინო შემოწმების დროს სწორედ მასთან ერთად უშვებდა.

**„ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის ადგილმდებარეობის დადგენა და მის წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარება სწორედ აღნიშნული ინფორმატორის მიერ მოპოვებული ცნობებით მოხერხდა. როგორ ცნობილია, მან ამერიკულ დაზვერვას არა მხოლოდ ადგილმდებარეობის შესახებ ცნობები, არამედ იმ სახლის დეტალური გეგმა გადასცა, რომელშიც ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი იმყოფებოდა.**

ამერიკული გამოცემის ცნობით, აშშ-ის ინფორმატორი ოპერაციის წარმოების დროს აღნიშნულ სახლში თავად იმყოფებოდა. ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ ორ დღეში ის ოჯახთან ერთად სირიიდან გაიყვანეს.

**„ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, ინფორმატორი**



**ახლა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის შესახებ ცნობების მიწოდებისთვის აშშ-ის მიერ დაწესებულ ჯილდოს, 25 მილიონ დოლარს მიიღებს. თუმცა, როგორც გამოცემა იუწყება, ინფორმატორი ასე მხოლოდ თანხის გამო არ მოქცეულა. როგორც ცნობილი ხდება, მისი ნათესავები ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მსხვერპლები გახდნენ.**

ამერიკული გამოცემა საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის გადაცემასთან ერთად, ინფორმატორმა ამერიკულ დაზვერვას სხვა მნიშვნელოვანი ცნობებიც გადასცა. მაგალითად ის, რომ ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი ყოველთვის შაჰიდის ქამრით გადაადგილდებოდა, რომ საჭიროების შემთვევაში თავი აეფეთქებინა.

**„ვაშინგტონ პოსტი“ ინფორმატორის მოქალაქეობას და ეთნიკურ ჯგუფს არ ასახელებს, თუმცა სტატიაში აღნიშნულია, რომ ის „სირიის დემოკრატიული ძალების“ მებრძოლებთან კონტაქტობდა, ერთი ამერიკელი მაღალჩინოსანი კი აცხადებს, რომ ის სუნიტი არაბია.**

ამერიკული გამოცემის ინფორმაციით, ინფორმატორის შესახებ ცნობები ვაშინგტონში ჯერ კიდევ ზაფხულში მიიღეს, თუმცა თვეების განმავლობაში მისი შემოწმება მიმდინარეობდა. „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, ამერიკული დაზვერვის ასეთი სიფრთხილე, 2009 წელს მომხდარმა ინციდენტმა გამოიწვია, როდესაც ტერორისტული დაჯგუფება ალ-ყაიდას ლიდერის ბინ ლადენის შესახებ ცნობების გადაცემის მიზნით დაგეგმილი შეხვედრის დროს ინფორმატორმა თავი აიფეთქა. თუმცა, ამ შემთხვევაში ინფორმატორის ცნობებმა რეალური წონა ერთი თვის წინათ მიიღო. სწორედ ამის შემდეგ ვაშინგტონში აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის წინააღმდეგ ოპერაციის დაგეგმვა დაიწყო.

ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის წინააღმდეგ ოპერაცია სირიაში, იდლიბის პროვინციაში, 26 ოქტომბერს ჩატარდა. მასში აშშ-ის არმიის ელიტური ქვედანაყოფი „დელტა“ და რეინჯერების 75-ე პოლკი მონაწილეობდა.

◉ ტრიუმფი






# ოქროს დუბლი

**მსოფლიოს 23-წლამდელთა ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში საქართველომ ორი ოქროს მედალი მოიპოვა! ტიტულები მირზა სხულუხიამ და ტარიელ გაფრინდაშვილმა მოიგეს.**

70 კგ წონითი კატეგორიის ფინალში სხულუხიამ რუსეთის წარმომადგენელი ჩერმან ვალიევი წმინდად დაამარცხა და ბუდაპეშტში ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნი დააკვრევინა.

უმაღლესი სინჯის მედალს 79 კგ წონით კატეგორიაში ტარიელ გაფრინდაშვილიც შესწვდა.

ქართველმა ფალავანმა გადამწყვეტ ბრძოლაში აზერბაიჯანელი აბაკაროვი 59 წამში დაამარცხა და მეორე „ოქრო“ მოგვიტანა.

აქვე ვთქვათ, რომ ნახევარფინალში დამარცხდნენ და დღეს ბრინჯაოს მედლისთვის გავლენ ხალიჩაზე გიორგი სულავა და ზურაბ ურთაშვილი.

**კობა კობახიძე**

◉ ლეგიონერი

# ევროლიგაშიც ბრწყინავს




**თორნიკე შენგელიას ევროლიგაში კვლავ დიდებული თამაში ჰქონდა. მეხუთე ტურში „ბასკონია“ საფრანგეთში „ლიონ-ვილერბანს“ დაუპირისპირდა და დასანანი მარცხი განიცადა — 63:66.**

ესპანელებმა შეხვედრა ჩინებულად დაიწყეს და პირველივე მეოთხედის შემდეგ 7-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა, მერე მასპინძლებმა სამივე დარჩენილ პერიოდში იმარჯვეს და საბოლოოდ 3 ქულით მოიგეს.

შენგელია კი საუკეთესო გახლდათ — MVP-ის ტიტულიც დაისაკუთრა და მატჩის ბომბარდირიც გახდა. თორნიკემ 30 წუთში 17 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მიითვალა. სტუმართა ქართველმა კაპიტანმა 9-დან 6 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო ერთი სამქულიანი კალათში ვერ მოათავსა.

შენგელია 17 ქულით ორივე გუნდის რიგებში ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 25-ს გაუტოლდა და ამაზე უკეთესი შედეგი არავის ჰქონია, თუმცა, იგივე მაჩვენებლით დაასრულა თამაში „ვილერბანის“ ლიდერმა ტონი ჯეკირიმ.

რაც შეეხება მეტ ჯენინგს, 14 წუთში 3 ქულა და 1 პასი შესძინა საკუთარ გუნდს. აქვე ვთქვათ, რომ შენგელიამ ევროლიგის წინა ტურშიც ბრწყინვალედ ითამაშა და მაშინაც ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

„ბასკონიას“ 2 მოგების წილ 3 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-11 საფეხურზე იმყოფება. მომდევნო ტურში 2 ნოემბერს იგი მიუნხენის „ბაიერნს“ ვიტორიაში დაუხვდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ინტერნეტიდან

# გერმანელის ვნებანი

**ისევე, როგორც გერმანულ ფეხბურთს, იქაურ ჩოგბურთსაც ბუნდესქვეყანაში მრავალი ცნობილი ლამაზმანი ქომაგობს, მათ შორის კი უდავოდ გამოსარჩევია 25 წლის მოდელი ლორენა რეი, რომელიც როგორც თანამემამულე მამაკაც, ასევე ქალ მეჩოგნეებს განსაკუთრებული მონდომებით გულშემატკივრობს.**

ადვილი მისახვედრია, რომ ბავშვობაში ლორენაც ჩოგნის მქნეველი იყო და სპორტის ეს სახეობა კორტზე დგომისას შეუყვარდა. რაიმე ხელშესახები წარმატებები თავად არ ჰქონია, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი მისთვის, რომ ჩოგბურთი სამოდელო საქმის შემდეგ ინტერესის მთავარ საგნად ექცია.

ლორენა რეი გერმანიის პატარა ქალაქ დაიპჰოლცში დაიბადა და სანამ ცნობილი მოდელი არ გახდა, ალემანთა დიდ მეგაპოლისებში, პრაქტიკულად, არასოდეს უცხოვრია (ახლა კია ბერლინში წამოდრანგული). სამოდელო სფეროში 15 წლის ასაკიდანაა ჩაბმული და დღეს მასზე ცნობილი და პოპულარული გერმანელი მოდელი იშვიათად მოიძებნება.



**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ ოლიმპიზმი

# ბორჯომ-ბაკურიანი მასპინძლობას ელოდება

**ვარშავაში დასრულებულ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების (EOC) 48-ე გენერალურ ასამბლეაზე სხვა საკითხებთან ერთად გაეცნენ ევროპის ზაფხულისა და ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალების (EYOF) მასპინძლობის მსურველთა განაცხადებს. მათ შორის იყო ზამთრისა და ზაფხულის, შესაბამისად, ბორჯომ- ბაკურიანისა და ჩეხეთის ბრნოს განაცხადები, რომლებიც 2025 წლის მულტისპორტულ ღონისძიებათა მიღების ოფიციალურ კანდიდატებად წარადგინეს.**

EOC-ის შემფასებელი კომისია ბორჯომსა და ბაკურიანს 2020 წლის თებერვალში ან მარტში ეწვევა, ბრნოს — მაისში. 2025 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალების მასპინძელთა ვინაობა ოფიციალურად სტამბოლში, 2020 წლის ნოემბერში, EOC-ის 49-ე გენერალურ ასამბლეაზე გაცხადდება.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ბრძოლაში ბორჯომი-2014-ის სახით საქართველო პირველად ჩაება. დასკვნით ეტაპზე სოჭის, პიონჩანგისა და ზალცბურგის განაცხადები გავიდა, საბოლოოდ კი მაშინ გამარჯვება სოჭს დარჩა.

საქართველოსთვის წარმატებული იყო ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის წარდგენილი თბილისის კანდიდატურა, რომელსაც მასპინძლობის პატივი 2015 წელს ერგო.

**ბეჟან დოლიძე**



◉ კრიმინალი

# მოსყიდული მუნდიალი

**ტელეგრამ-არხმა** Black Mirror **თავის საიტზე მოსკოვის კულტურის დეპარტამენტის ყოფილ უფროს სერგეი კაპკოვის მიმოწერა გამოაქვეყნა, რაც საჯარო მისი კომპიუტერული სისტემის გატეხვის შემდეგ გახდა შესაძლებელი.**

ამ წერილებში ნათლად ჩანს მეთოდები, რომლებსაც 2010 წელს რუსეთის ხელისუფლების წევრები იყენებდნენ ფიფას ჩინოვნიკების მიმართ, რათა 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მიეღოთ.

დოკუმენტებში დაწვრილებითაა წარმოდგენილი ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა დოსიეები, ასევე წერია, თუ რომელ ჩინოვნიკს როგორ უნდა მიუდგნენ. მაგალითად, ფრანც ბეკენბაუერზე ზემოქმედება „უხვი ძღვენის“ მირთმევით შეიძლება მისი მრჩეველის შუამავლობით, მიშელ პლატინიზე — უეფას კომერციული პარტნიორების მეშვეობით, იოზეფ ბლატერზე კი — მისი ნათესავის მეოხებით, რომლის კომპანიაც ფიფას სატელევიზიო უფლებებს ფლობს.




სხვა წერილში წერია, რომ ბეკენბაუერის ხმის ყიდვა 3 მილიონ ევროდაა შესაძლებელი...

მოკლედ, ცხადი ხდება, რომ რუსეთმა ძალიან დიდი ფული დახარჯა ფიფას ჩინოვნიკების „მოსათაფლად“ და აკი შარშან მუნდიალიც ჩაატარა.

**გიორგი შოთაძე**

◉ ჩოგბურთი

# ოსაკასთვის სეზონი ვადამდე დასრულდა

**მსოფლიოს მესამე ჩოგბურთელი, იაპონელი ნაომი ოსაკა წლის შემაჯამებელი ტურნირიდან მოიხსნა.**

მან წითელ ჯგუფში პეტრა კვიტოვა მძიმე ბრძოლაში დაამარცხა. მაგრამ მხრის ტრავმის გამო ჩინეთში გამოსვლა შეწყვიტა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონში კორტზე ვეღარ ვიხილავთ.

„ცისქვეშეთში გამაყუჩებლებით ვასპარეზობდი. ჩეხთან მატჩამდე ერთი დღით ადრე თავი უკეთ ვიგრძენი, მაგრამ პეტრასთან ხანგრძლივმა შეხვედრამ ტრავმა ისევ გამიმიზეზა“ — განაცხადა ოსაკამ.

მის ნაცვლად ტურნირზე კიკი ბერტენსი ითამაშებს.




**მანუჩარ გიორგაძე**

# დიაბეტი ყოველწლიურად მილიონზე მეტ ადამიანს კლავს

## რა უნდა ვიცოდეთ ამ დაავადების შესახებ?

**შაქრიანი დიაბეტი არის დაავადება, რომელიც ყოველწლიურად ერთ მილიონზე მეტი ადამიანის გარდაცვალების მიზეზი ხდება. ამავდროულად, ის შეიძლება, ნებისმიერ დროს თითოეული ჩვენგანის პრობლემად იქცეს.**

**რა იწვევს დიაბეტს?**

დიაბეტი ჩნდება, როდესაც ადამიანის ორგანიზმი სისხლში შაქრის (გლუკოზის) დონეს ვერ უმკლავდება. დიაბეტის მქონე ადამიანების რაოდენობა კი სისტემატურად იმატებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით 422 მილიონი ადამიანია დიაბეტით დაავადებული. ეს 40 წლის წინანდელ მაჩვენებელზე დაახლოებით ოთხჯერ მეტია.

როდესაც ადამიანი საკვებს იღებს, ორგანიზმი მასში შემავალ ნახშირწყლებს შაქრად (გლუკოზად) გარდაქმნის. ამის აღქმაზე კი პასუხისმგებელია ინსულინი (კუჭქვეშა ჯირკვლის მიერ გამომუშავებული ჰორმონი), რომელიც უჯრედებს სიგნალს აძლევს, სისხლში დაშლილი გლუკოზა შთანთქან და ენერგიის წყაროდ გამოიყენონ. დიაბეტი კი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინსულინის გამომუშავება წყდება ან ჰორმონი თავისი ფუნქციის ნორმალურად შესრულებას ველარ ახერხებს. ამის შედეგად კი სისხლში შაქარი გროვდება.

სპეციალისტები ეგრეთ წოდებულ პრედიაბეტსაც განასხვავებენ. ამ შემთხვევაში სისხლში გლუკოზის დონე მომატებულია, რასაც დაავადების სრული ფორმის ჩამოყალიბებაც შეიძლება მოჰყვეს.

**რა სიმპტომები აქვს დიაბეტს?**

დიაბეტის ყველაზე გავრცელებული სიმპტომებია:

– წყურვილის მუდმივი შეგრძნება;
– უჩვეულოდ ხშირი შარდვა, განსაკუთრებით კი ღამის საათებში;
– დაღლილობის მუდმივი შეგრძნება;
– წონის უმიზეზოდ კლება;
– მხედველობის დაქვეითება;
– ჭრილობის ან ნაჩხაპნის შეხორცების პროცესის გაჭიანურება.

**დიაბეტის თავიდან აცილება შემიძლია?**

დიაბეტით დაავადების რისკი გენეტიკურ ფაქტორებსა და გარემო პირობებზეა დამოკიდებული. თუმცა სისხლში შაქრის ნორმალური დონის შენარჩუნება ჯანსაღი დიეტისა და აქტიური ცხოვრების წესითაც შესაძლებელია. დასაწყისისთვის აუცილებელია საკონდიტრო ნაწარმისა და ტკბილი სასმელების მიღების შეზღუდვა, ასევე თეთრი პურის და მაკარონის ხორბლის ცეხვილი ფქვილისგან დამზადებული პროდუქციით შეცვლა. კვების ჯანსაღ რაციონში შედის ბოსტნეული, ხილი, პარკოსანი და მარცვლეული პროდუქტები. სასარგებლოა მცენარეული ზეთი, თხილი და თევზის ის სახეობა, რომელიც ომეგა 3-ით არის მდიდარი (ორაგული, სკუმბრია და სხვ.). ასევე მნიშვნელოვანია, კვების რეგულარული ინტერვალის შემუშავება და დაცვა.



სისხლში შაქრის შემადგენლობის შემცირებისთვის ფიზიკური ვარჯიში ძალიან ეფექტიანია.

ორგანიზმს უფრო გაუადვილდება სისხლში შაქრის ნორმალური დონის შენარჩუნება, თუ თქვენ ჭარბი წონა არ გაწუხებთ.

**რა გართულება შეიძლება მოჰყვეს დიაბეტს?**

სისხლში შაქრის მაღალ შემცველობას სისხლძარღვების დაზიანება შეუძლია. როცა სისხლი დედდება, მას ორგანიზმში გადაადგილება უჭირს, ზოგიერთ უჯრედამდე კი საერთოდ ვერ აღწევს, რაც ნერვების დაზიანების რისკს ზრდის. დიაბეტს მხედველობის დაკარგვის ან ფეხის არეში ინფექციური დაავადების გამოწვევა შეუძლია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, შაქრიანი დიაბეტი სიბრმავის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. მას შეუძლია გამოიწვიოს თირკმლის უკმარისობა, ინფარქტი, ინსულტი და ქვედა კიდურების განგრენა, რომელსაც ძალიან ხშირად ფეხის ამპუტაცია მოჰყვება. 2016 წელს დიაბეტით გამოწვეული პირდაპირი შედეგებით 1,6 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა.

**რამდენნაირი დიაბეტი არსებობს?**

შაქრიანი დიაბეტი რამდენიმე სახის არის. პირველი ტიპის დიაბეტის შემთხვევაში, კუჭქვეშა ჯირკვალი ინსულინის წარმოებას წყვეტს და შაქარი სისხლში გროვდება. ყველაზე ხშირად ეს ხდება ადრეულ – ბავშვობის ან მოზარდობის ასაკში.

მეცნიერებმა ამ დრომდე არ იციან, ეს პროცესი კონკრეტულად რა მიზეზით იწყება. ისინი ვარაუდობენ, რომ აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს გენეტიკური ფაქტორი ან ვირუსული ინფექცია, რომელიც კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედს აზიანებს. არადა, სწორედ ეს უკანასკნელია ინსულინის გამომუშავებაზე პასუხისმგებელი. დიაბეტით დაავადებულთა დაახლოებით 10%-ს დაავადების სწორედ ეს ტიპი აქვს.

მეორე ტიპის დიაბეტის შემთხვევაში, ინსულინის გამომუშავება სრულად არ წყდება. ის ან არასაკმარისი რაოდენობით გამოიყოფა, ან მის ეფექტიან მუშაობას რაღაც ხელს უშლის. დაავადების ეს ტიპი, როგორც წესი, შუახნის ან მოხუცებულობის ასაკში ყალიბდება. თუმცა მეორე ტიპის დიაბეტი ახალგაზრდებშიც გვხვდება, თუ მათ ჭარბი წონისა და გაცხიმოვნების პრობლემა ან ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი აქვთ.

დიაგნოზი „გესტაციური დიაბეტი" ხანდახან ფეხმძიმე ქალებშიც გვხვდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი ორგანიზმი საკმარისი რაოდენობის ინსულინს არ გამოიმუშავებს (ის მომავალ დედასა და ნაყოფს არ ჰყოფნის). შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით, ასეთი დიაგნოზი ფეხმძიმე ქალების დაახლოებით 6-დან 16%-მდე აქვს. ამიტომ ისინი სისხლში შაქრის დონეს ძალიან დიდი ყურადღებითა და სიფრთხილით უნდა დააკვირდნენ.

**საქართველოში დიაბეტი აქტუალურია?**

უკანასკნელ წლებში საქართველოში დიაბეტის ზრდის ტენდენციაა. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია მეორე ტიპის დიაბეტის შემთხვევაში. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის მონაცემებით, 2018 წელს შაქრიანი დიაბეტის პირველი ტიპის ახალი შემთხვევების 1%-ი 15 წლამდე ბავშვებში გამოვლინდა. არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევის მონაცემებით, გლუკოზის მომატებული მაჩვენებელი 18-69 წლის მოსახლეობის 2%-ს აღმოაჩნდა, სისხლში შაქრის შემცველობის მაღალი მაჩვენებელი კი – 4.5%-ს.

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

## წყვილი, რომელიც დააკლდა ქალაქს...



**შეხედეთ ამ სურათს. დატკბით და იამაყეთ, რომ ასეთი ლამაზი თანამემამულენი გვყავდა, გვყავს და გვეყოლება მარად.**

**მათ სიყვარულს ყველა შენატროდა. აკი, სიყვარულმა გადაარჩინა და მოიყვანა დღემდე კაცობრიობა. რიმიკო (ზაურ) და ჯილდა (ჩიტო) გურგენიძეების წყვილი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ამშვენებდა საახლობლოს, ქალაქს, სამშობლოს.**

**შეჩერებული კადრის შემხედვარენი, დამეთანხმებით, ალბათ, რომ ამშვენებს დღესაც, უკვე – სულეთიდან, სადაც მართალნი განისვენებენ, როგორც უკვდავების ბინადარნი.**

**მათი საარაკო სიყვარული ღირსეულ შთამომავლობაში გრძელდება.**

**დღეს ჩიტო გურგენიძის დაბადების დღეა...**

**ფოტო საოჯახო ალბომიდან**

**სს ჩაჩავას კლინიკის გინეკოლოგიური სექტორის თანამშრომლები დიდი გულისტკივილით ვიუწყებით საქართველოს ღირსეული შვილის, სამეცნიერო საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენლის, ჩვენი დიდი მასწავლებლის და თანამდგომის, აკადემიკოს**

## პალიკო კინტრაიას

**გარდაცვალებას და თანავუგრძნობთ ღრმა მწუხარებაში მის ოჯახს.**

# 2019 წლის იანვარ-სექტემბერში მშენებლობის 7802 ნებართვა გაიცა

**ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2019 წლის იანვარ-სექტემბერში გაცემულია 7802 ნებართვა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,3 პროცენტით მეტი) 5621,7 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23,9 პროცენტით მეტი). ინფორმაციას საქსტატი ავრცელებს.**



ნებართვების 71,0 პროცენტი მოდის ქვეყნის 3 რეგიონზე. კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 49,2 პროცენტი თბილისზე, 11,0 პროცენტი – აჭარის ა.რ.-ზე და 10,8 პროცენტი – ქვემო ქართლის რეგიონზე.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის იანვარ-სექტემბერში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სასტუმროების, სავაჭრო ობიექტების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე. გაცემულ ნებართვებში შედარებით დიდი წილით წარმოდგენილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები. დამთავრებული მშენებლობების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 3 რეგიონზე. კერძოდ, 36,2 პროცენტი თბილისზე, 14,4 პროცენტი – კახეთის რეგიონზე, ხოლო 9,0 პროცენტი – ქვემო ქართლის რეგიონზე

სულ 2019 წლის იანვარ-სექტემბერში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 1923,7 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წელთან შედარებით 32,3 პროცენტით მეტი) 1802 ობიექტი (წინა წელთან შედარებით 1,5 პროცენტით ნაკლები).

# ყალბ ვალუტას ასაღებდნენ

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ვალუტის გასაღების ფაქტზე რამაზ ბ. და იოსებ ქ. დააკავეს.**

გამოძიების ინფორმაციით, რამაზ ბ-მ თურქეთის რესპუბლიკიდან შემოიტანა 500 ევროს ნომინალის ყალბი ბანკნოტები, საიდანაც იოსებ ქ-ს და სონია ზ-ს დახმარებით, 9800 ლარად საქართველოს მოქალაქეზე გაასაღა 10 ცალი 500-ევროიანი ბანკნოტი, ხოლო 25 ერთეული ანალოგიური ნომინალის მქონე ბანკნოტი ამოღებულია მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად. სუს-ის ცნობით, ჯამში ამოღებულია 17 500 ევროს ყალბი ბანკნოტები.



# „სამეფო კარის თამაშები“ – ტარგარიანების დინასტიაზე იქნება

**HBO-მ „სამეფო კარის თამაშების“ ერთ-ერთი პრიქველის გადაღებაზე უარი თქვა და მის ნაცვლად ტარგარიანების ოჯახის შესახებ პრიქველი დააანონსა.**



THR-ის წყაროს ინფორმაციით, პროექტის გაუქმების შესახებ სერიალის მსახიობებსა და ჯგუფს სცენარისტმა ჯეინ გოლდმანმა განუცხადა.

გოლდმანის პრიქველის სცენარის მიხედვით, მოქმედება „სამეფო კარის თამაშებამდე“ ათასი წლით ადრე პერიოდს შეეხებოდა, როდესაც პირველი ბრძოლა მოხდა ადამიანებსა და ღამის მეფის მკვდართა არმიას შორის.

ამის ფონზე კი ცნობილი გახდა, რომ HBO სხვა პრიქველს გადაიღებს, რომელსაც „დრაკონების სახლს“ დაარქმევს. მოქმედება პრიქველში „სამეფო კარის თამაშებამდე“ სამასი წლით ადრე განვითარდება და მოგვიყვება ტარგარიანების დინასტიის შექმნის შესახებ.

# მეხიკოს ქუჩებში უზარმაზარი ჩონჩხები გამოჩნდა

**მექსიკაში გარდაცვლილთა დღისთვის ემზადებიან, რომელიც 1 და 2 ნოემბერს აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით, მეხიკოს ქუჩებში უზარმაზარი ჩონჩხები გამოჩნდა, რომელიც „მიწიდან ამოსვლას ცდილობს“.**

ჩონჩხებთან ბავშვები და ზრდასრულები ფოტოებს იღებენ. ჩონჩხი მუყაოსგან არის დამზადებული, ადგილობრივმა არტისტებმა ჩონჩხთან ქვებიც დაყარეს, რათა შეიქმნას განცდა, თითქოს ის მიწიდან არის ნახევრადამოსული.



ამ დღესასწაულზე მექსიკელები ჩონჩხის ფორმიან ნამცხვრებს და ტკბილეულობას აკეთებენ, სახეზეც ჩონჩხს იხატავენ და შესაბამის სამოსს იცმევენ. სახლებში ამზადებენ პატარა საკურთხევლებს, რომელთა წინაშეც ლოცულობენ და გარდაცვლილ მეგობრებსა და ნათესავებს იხსენებენ. საკურთხევლებს ყვავილებით, სანთლებითა და გარდაცვლილთა ფოტოსურათებით რთავენ.

# ქელეხი... „საკაიფო“ ნამცხვრებით

**გერმანიაში დაკრძალვის შემდეგ რესტორანში შეკრებილი ადამიანებიდან ნაწილი საავადმყოფოში აღმოჩნდა, ამის მიზეზი კი კანაფისგან დამზადებული ნამცხვრები გახდა, რომელიც მათ ჭამეს.**

პოლიციის ცნობით, 13 მგლოვიარე, მათ შორის ქვრივი მოულოდნელად ცუდად გახდა, მათ თავბრუხვევა და გულისრევა დაეწყოთ. პოლიციის ინფორმაციით, შემთხვევა აგვისტოში მოხდა, თუმცა ექსპერტიზის საბოლოო დასკვნას ელოდებოდნენ, რათა მოწამვლის მიზეზი დაედგინათ.

მოგვიანებით გაირკვა, რომ რესტორანში „ჰაშიშიანი ნამცხვარი“ შემთხვევით აღმოჩნდა. მფლობელმა 18 წლის შვილს შეკვეთილი ნამცხვრის გამოცხობა დაავალა, რაც გოგომ შეასრულა, მაგრამ თან თავისთვისაც გამოაცხო კანაფის ნამცხვრები, რომლის შეჭმასაც სხვაგან გეგმავდა.



რესტორნის თანამშრომელმა კი შეცდომით, მგლოვიარეებს ჰაშიშისგან დამზადებული ნამცხვრები მიართვა. 18 წლის გოგოსთან დაკავშირებით ახლა გამოძიება მიმდინარეობს.



# სროლის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა

**აშშ-ში, კალიფორნიის შტატში, სროლის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა, ცხრა კი დაშავდა. ამის შესახებ „სიენენი“ იუწყება. თავდასხმა ქალაქ ლონგ-ბიჩში, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოში მოხდა.**

„სიენენის“ ცნობით, 911-ზე სროლის შესახებ შეტყობინება ღამის საათებში შევიდა. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილები მალევე მივიდნენ. მათ 9 დაშავებულს სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს, რის შემდეგაც უახლოეს სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს.

ექიმების ინფორმაციით, ხუთი დაჭრილის მდგომარეობა კრიტიკულია. გავრცელებული ცნობით, სროლა ჰელოუინის დღესასწაულის აღნიშვნის დროს, ერთ-ერთ წვეულებაზე მოხდა.

ეჭვმიტანილის შესახებ ცნობები ჯერ არ ვრცელდება. ასევე უცნობია, დააკავეს თუ არა ისინი სამართალდამცველებმა და რამდენი ეჭვმიტანილი ფიგურირებს თავდასხმაში.

# ხანძარმა კოალები გაანადგურა

**მაშველები ვარაუდობენ, რომ ავსტრალიაში ტყის ხანძრის შედეგად ასობით კოალა დაიღუპა. ცეცხლი ახალ სამხრეთ უელსში, სიდნეიდან 250 მილის დაშორებით, 2000 ჰექტარ ფართობზე იყო გავრცელებული.**



ერთ-ერთმა ექსპერტმა ამ ამბავს „ეროვნული ტრაგედიაც“ კი უწოდა. როგორც BBC წერს, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ადგილობრივი კოალების პოპულაცია მნიშვნელოვნად შემცირდა. მონიტორინგის ჯგუფები აცხადებენ, რომ ველურ ბუნებაში სულ 43-ათასამდე კოალა დარჩა. მათი რაოდენობის შემცირებას კვებითი საშუალებების შემცირებით, დაავადებებით, კლიმატის ცვლილებითა და ძაღლების მხრიდან გახშირებული თავდასხმებით ხსნიან.

# ყველაზე ცნობილი სპილო გარდაიცვალა

**კენიაში ყველაზე ცნობილი აფრიკული სავანის სპილო „მეტი“ 52 წლისა გარდაიცვალა. გამოცემა Africa Geographic-ის ცნობით სპილო ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. გარდაცვლილი „მეტი“ მორიგი შემოვლის დროს ბრაკონიერებთან ბრძოლის სამსახურის წევრებმა აღმოაჩინეს.**



„მეტი“ 6 ტონაზე მეტს იწონიდა, სიმაღლეში კი 3 მეტრს აღწევდა. 2002 წელს კენიის ველური ბუნების სამმართველოს თანამშრომლებმა სპილოს თანამგზავრული გადამცემი დაუმაგრეს, რათა მისი გადაადგილება გააკონტროლონ და შესაძლო საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში ის დროულად აღკვეთონ.

პოპულარობა „მეტს“ BBC-ის დოკუმენტურ ფილმებში მონაწილეობამ მოუტანა. 2017 წელს ორგანიზაცია Save the Elephants-ის დამფუძნებელმა იეინ დაგლას-ნემილტონმა მეტისა და კიდევ ერთი სპილოს ჩხუბის ცნობილი სცენა გადაიღო. ამჟამად აფრიკაში 420 ათასამდე სპილოა, მათი 70% (293 ათასი) კი ბოტსვანაში ცხოვრობს.


საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908


**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.9545; ევრო - 3.2739;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7909;
100 რუბლი - 4.6160; თურქული ლირა - 0.5150;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7378;
1000 სომხური დრამი - 6.2069.

**ამინდი 31 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე | +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე | +14 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე | +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე | +13 |
| თბილისი: | ღამე | +10, | დღე | +19 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge